



საპარლამენტო პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების
სასამართლო პროცესების მონიტორინგი

შემაჯამებელი ანგარიში - (2022 წ. აპრილი-ივნისი)

2022

საპარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების
სასამართლო პროცესების მონიტორინგი

შემაჯამებელი ანგარიში

(2022 წ. აპრილი-ივნისი)





ავტორი: გიორგი ტყეშელაშვილი

რედაქციონი: ალექსო ცეციტიშვილი, გიორგი კაკუბავა

მონიტორინგი: სალომე ბუთხუბი, თამარ ქურთაული, კარლო შერაზაძე

ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი:

0160 თბილისი, ა. გაბოვიძის ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge

ონლაინ გამოცემა ადამიანის უფლებების შესახებ: <http://www.humanrights.ge>

ვებ-საიტი: hrc.ge



SUPPORTING FREEDOM AROUND THE WORLD

ანგარიში მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.



სარჩევი

შესავალი.....	4
მეთოდოლოგია	5
საპარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები	5
1. ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე.წ. კარტოგრაფების) საქმე.....	5
2. გიორგი მუმლაძის საქმე.....	6
3. აკაკი ხუსკივაძის და აკაკი კობალაძის საქმე.....	6
4. ბესიკ თამლიანის საქმე.....	7
5. ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, ვახაბერ ქეშიკაშვილის, სტეფანე გიქოშვილისა და ლაშა სამხარაძის საქმე.....	8
6. ნიკანორ მელიას საქმე.....	9
7. ნიკანორ მელიას და ზურაბ ადეიშვილის საქმე.....	9
8. მიხეილ სააკაშვილისა და თეიმურაზ ჯანაშიას საქმე.....	9
9. მიხეილ სააკაშვილის საქმე.....	10
10. მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კვბერაშვილისა და გიგი უგულავას სს საქმე.....	12
11. გიორგი უგულავასა და ალექსანდრე გოგობიას საქმე.....	13
12. ირაკლი ოქრუაშვილის და ზურაბ ადეიშვილის საქმე.....	13
13. ირაკლი ოქრუაშვილის საქმე.....	14
14. კობა კობაძის საქმე.....	15
15. ნიკა გვარამიას საქმე.....	16
16. ზურაბ და შალვა წონორიების, ელგუჯა ცომიას, გიორგი ნარიმანიძის საქმე.....	19
17. მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის საქმე.....	19
18. 2021 წლის 5 ივლისის კონტრაქციაზე დაკავებულთა საქმე.....	20
19. ლევან ხაბეიშვილის საქმე.....	20
20. გიორგი რურუას საქმე.....	21
მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.....	24
დასკვნა	27
რეკომენდაციები:	28



შესავალი

წინამდებარე ანგარიში, ძირითადად, ასახავს 2022 წლის 1 აპრილიდან 30 ივნისამდე სავარაუდო პოლიტიკური მოტივით მიმდინარე სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგებს. ანგარიშში, აგრეთვე, ასახულია მედიის წარმომადგენელზე, მისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, თავდასხმის ფაქტებზე მიმდინარე სასამართლო სხდომების მონიტორინგის შედეგები.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა, სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგად, დააგროვა მნიშვნელოვანი, მოცულობითი ინფორმაცია. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა მონიტორინგის განმავლობაში სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში არსებული ტენდენციების შეფასება, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ, გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეებზე დარღვევების იდენტიფიცირება და ანალიზი. ანგარიშში წარმოჩენილია ის საკითხები, რითაც განპირობებული იყო სასამართლო მონიტორინგის დაწყების აუცილებლობა და ასევე - თვალსაჩინო პრობლემები, რაც გამოვლინდა მონიტორინგის პროცესში სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში.

2020 წლის მსგავსად, კვლავ აქტუალურია სამართლიანი სასამართლოს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სტანდარტების დაცვის კუთხით არსებული პრობლემები. ამასთან, 2021 წლიდან იმატა პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიმართ სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულმა სასამართლო პროცესებმა, როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე.

ადამიანის უფლებათა ცენტრი სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეებს საერთო სასამართლოებში აკვირდება პროექტის - „იურიდიული დახმარება და ადამიანის უფლებების მონიტორინგის“ ფარგლებში. 2020 წელს დაწყებული სასამართლო პროცესებისა და საპროტესტო აქციების მონიტორინგის პროექტი¹ 2022 წლის 1 აპრილიდან გაგრძელდა და 30 ივნისს დასრულდა.

2022 წლის 1 აპრილიდან 2022 წლის 30 ივნისამდე, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგი 20 სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე ჯამში დააკვირდნენ 34 სასამართლო სხდომას. 20 საქმიდან ნაწილი პირველი ინსტანციის სასამართლოში მიმდინარეობს, ნაწილი კი თბილისის სააპელაციო სასამართლოშია გასაჩივრებული.

საბოლოო ჯამში, წინა წლების მსგავსად, 2022 წელსაც, პოლიტიკოსების და აქტივისტების სისხლისსამართლებრივი დევნის დისპროპორცია, მატერიალურ და პროცესუალურ დარღვევებთან ერთად, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ბადებს საფუძვლიან ეჭვებს ამ ანგარიშში განხილული სისხლის სამართლისა თუ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში შერჩევითი სამართლისა და პოლიტიკური მოტივების შესახებ.

¹ **შენიშვნა:** 2020-2021 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოამზადა 12 ანალიტიკური დოკუმენტი, 2 შუალედური და 2 შემჯავებული ანგარიში, მათ შორისაა: 1) „გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“: <https://bit.ly/33SqhZx>. 2) „2019 წ. 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი“: <https://bit.ly/2XUIHFn>. 3) „ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“: <https://bit.ly/31NEpka>. 4) „გიორგი რურუს სისხლის სამართლის საქმე სამართლებრივი ანალიზი“: <https://bit.ly/2CkSOfd>. 5) „ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სამართლებრივი შეფასება“: <https://bit.ly/33NghAb>. 6) სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი - შუალედური ანგარიში: <https://bit.ly/2JZ0eZh>. 7) სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგის შემჯავებული ანგარიში: <https://bit.ly/2X54qNc>; 8. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგის შუალედური ანგარიში, 2021. <http://www.hrc.ge/290/qeo/>; 9) 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული საქმეები - პოლიტიკური მართლმსაჯულება და სადავო ამნისტია, 2021. <http://www.hrc.ge/files/10220-21%20june.pdf>; 10) სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი (შემჯავებული ანგარიში), 2021. <https://bit.ly/3FAP59h>.



მათოდლოგია

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის პროექტი განხორციელდა ადამიანის უფლებათა ცენტრის (Human Rights Center) მიერ ექსპერტების მონაწილეობით შემუშავებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლის მიზანია მონიტორინგის ქვეშ არსებული სასამართლო პროცესებისა და ქვეყნის შიდა კანონმდებლობის სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში შესაძლო ხარვეზების, ასევე - ხელისუფლების სავარაუდო პოლიტიკური მოტივების იდენტიფიცირება და ანალიზი.

2021 წლის განმავლობაში სასამართლო პროცესებს აკვირდებოდა 3 სასამართლო მონიტორი, რომლებმაც სასამართლო პროცესების მონიტორინგის შესახებ სპეციალური ტრენინგი გაიარეს. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია მოიცავდა კონკრეტულად სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესებისთვის მომზადებული სპეციალური კითხვარებით მუშაობას. იურისტ-მონიტორები ყოველი სასამართლო სხდომის შემდეგ ამზადებდნენ ანგარიშებს და აღწერდნენ სასამართლო სხდომების დეტალებს. მონიტორების მიერ მიწოდებული ანგარიშების გაცნობისა და გაანალიზების შემდეგ, იურისტი-ანალიტიკოსი დამუშავებულ ინფორმაციის იყენებდა ანალიტიკური დოკუმენტების და საჯარო ანგარიშების მომზადებისთვის. თითოეულ გამოქვეყნებულ დოკუმენტში, ანალიტიკოსის მიერ გაანალიზებულია, რამდენად შეესაბამება სამართალწარმოება საერთაშორისო სტანდარტებს, აღიარებულ პრაქტიკას და საერთაშორისო ვალდებულებებს.

წინამდებარე ანგარიში, ასევე, ეყრდნობა მონიტორინგის ქვეშ არსებული საქმეების შესახებ გამოქვეყნებულ სხვადასხვა დოკუმენტს და კვლევისას გამოვლენილ მიგნებებს. ამასთან, კვლევის პროცესში დამატებით შესწავლილია საქმეებში არსებული ბრალდების შესახებ დადგენილებები, დაცვისა და ბრალდების მხარეების შუამდგომლობები, სასამართლოების მიერ მიღებული განჩინებები, შუალედური გადაწყვეტილებები, განაჩენები/გადაწყვეტილებები.

სასამართლო პროცესების მონიტორინგი ეფუძნება ობიექტურობას, სასამართლო პროცესებში ჩაურევლობის მკაცრი პრინციპების დაცვას. ამავე დროს, მონიტორინგის პარალელურად, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული, გახმაურებული პროცესებისადმი საზოგადოების დიდი ინტერესის გამო, ადამიანის უფლებათა ცენტრი მუდმივად ხელმისაწვდომს ხდიდა მნიშვნელოვან ინფორმაციას სასამართლო სხდომების წარმართვისა და დასკვნების შესახებ პროცესში ჩართული მხარეებისთვის, მედიისა და საზოგადოებისთვის.

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები

2022 წლის 1 აპრილიდან 2022 წლის 30 ივნისამდე, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ქვეშ მოექცა 20 სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმე. 3 თვის განმავლობაში, ორგანიზაციის სასამართლო მონიტორები ჯამში დააკვირდნენ 34 სასამართლო სხდომას.

მონიტორინგის ამ ეტაპზე ადამიანის უფლებათა ცენტრი აგრძელებს სასამართლო მონიტორინგს 20 საქმეზე:

1. *ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე.წ. კარტოგრაფების) საქმე.* ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები აკვირდებიან საგარეო საქმეთა სამინისტროს მებობელი ქვეყნების დეპარტამენტის, სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის ყოფილი უფროსის, ივერი მელაშვილისა და შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის



დეპარტამენტის ყოფილი მთავარი ინსპექტორის, ნატალია ილიჩოვას სისხლის სამართლის საქმეს. მათ ბრალი წარდგენილი აქვთ სსკ-ის 308-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებას, რომელიც მიმართულია უცხო ქვეყნისთვის საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემისაკენ ან/და საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფისაკენ. 2021 წლის 28 იანვარს, პროკურატურის მიმართვის საფუძველზე, მოსამართლე ლელა კალიჩენკომ ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 20000-20000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ შეუცვალა. ამასთან, სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობაც ივერი მელაშვილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. საქმე განიხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში. მოსამართლე - ნინო ნაჭყებია. ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა 2020 წლის 7 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე დააკავეს.

სასამართლო სხდომების დაკვირვების შედეგები:

ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა 2020 წლის 7 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე დააკავეს. 2021 წლის 28 იანვარს, სასამართლო სხდომის პარალელურად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ებოში მელაშვილისა და ილიჩოვას მხარდასაჭერად ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები შეიკრიბნენ და კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ ისინი უკანონოდ იყვნენ დაკავებულნი. ამასთან, გირაოს თანხის შესაგროვებლად, სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიამ“ სოციალურ ქსელში ინფორმაცია გაავრცელა, რის შედეგადაც, გათავისუფლებულების დასახმარებლად წამოწყებული კამპანიის ფარგლებში, მოქალაქეების მიერ, 2 საათში გირაოს სრული თანხა – 40 000 ლარი სრულად შეგროვდა².

2021 წლის დეკემბერში, საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში ბრალდების მხარის მოწმეების დაკითხვით გაგრძელდა. რაც შეეხება 2022 წელს, მონიტორინგის პერიოდში, ამ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო სხდომები არ ჩატარებულა.

2. გიორგი მუმლაძის საქმე. სამოქალაქო აქტივისტს, გიორგი მუმლაძეს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, რაც გულისხმობს - პოლიციის მუშაკის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობას, სამოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლას, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, აგრეთვე - ამკარად უკანონო ქმედებისთვის მის იძულებას, ჩადენილს ძალადობით ან ძალადობის მუქარით. საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილება.

მიმდინარე მონიტორინგის პერიოდში, ამ სისხლის სამართლის საქმეზე ჩანიშნული 2 სასამართლო სხდომა, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გადაიდო³.

3. აკაკი ხუსკივაძის და აკაკი კობალაძის საქმე. ადამიანის უფლებათა ცენტრი აკვირდება აკაკი ხუსკივაძისა და აკაკი კობალაძის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვას. ბრალდებულებს ბრალი ედებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენაში, რაც გულისხმობს: მოხელისათვის პირდაპირ მის სასარგებლოდ ფულის

² იხ. სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიას“ განცხადება: <https://bit.ly/3BUI8OI>

³ საქმეზე, აქამდე განხორციელებული სასამართლო სხდომების მონიტორინგის შედეგები და სამართლებრივი შეფასება იხ.: სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი (შემავამებელი ანგარიში), 2021, გვ. 10-11. <https://bit.ly/3FAP59h>.



შეთავაზებას, რათა მან თანამდებობრივი უფლებების განხორციელების და მოვალეობის შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება; ასევე - ჯგუფურად ჩადენილი ჯანმრთელობის დაზიანების შექარას, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა შექარის განხორციელების საფუძვლიანი შიში; ასევე - ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვას, ე.ი. მის ფსიქიკურ იძულებას, შეასრულოს მოქმედება, რომლის შესრულებისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ჩადენილი ჯგუფურად. დამატებით, ბრალდებულ აკაკი კობალაძეს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა, რაც გულისხმობს საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნასა და შენახვას. 2020 წლის 10 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ დაკავებულები გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. მათ გირაოს სახით 10 000 ლარის გადახდა დაეკისრათ. საქმეს არსებითად იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი კერატიშვილი.

სასამართლო სხდომების დაკვირვების შედეგები:

მონიტორინგის პერიოდში, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე მხოლოდ 1 სასამართლო სხდომა ჩატარდა. თავდაპირველად, სხდომა 2022 წლის 15 აპრილს იყო ჩანიშნული, მაგრამ დაცვის მხარის მიზგით (*კერძოდ, ადვოკატს მომდევნო დღეს სხვა სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომები ჰქონდა და ვადების გამო ვერ ცხადდებოდა*) გადაიდო და სხდომა ჩატარდა 2022 წლის 29 აპრილს. არც თავდაპირველი და არც გადადებული სხდომის შემთხვევაში, სასამართლოს ვებგვერდზე „მიმდინარე საქმეების“ ჩამონათვალში ეს საქმე მითითებული არ იყო - არ გამოცხადდა საჭაროდ. დარბაზის ნომერიც სხდომის ჩატარებამდე ნახევარი საათით ადრე გახდა ცნობილი. სხდომას დაცვის მხარის ერთი ადვოკატი - ბექა ბასილაია არ ესწრებოდა, რადგან იგი უკრაინაში იმყოფებოდა.

სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოვლენა მიმდინარეობდა. სასამართლოს წინაშე, მოწმის სახით, დაზარალებულის უფლებამონაცვლე - მარიამ ნათაძე (მეუღლე) და კრწანისის #4 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ლევან თანანაშვილი დაიკითხნენ. დაზარალებულის უფლებამონაცვლემ მეუღლის გარდაცვალების დღეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ისაუბრა. ლევან თანანაშვილმაც, სასამართლოს, ძირითადად, გარდაცვლილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

საქმის განხილვა გრძელდება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

4. ბესიკ თამლიანის საქმე. ბესიკ თამლიანს ბრალად წარდგენილი აქვს საქართველოს სსკ-ს 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რაც გულისხმობს ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობას, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ანდა მათზე თავდასხმა. საქმეზე პროკურატურასა და სხვა ბრალდებულებს - ზურაბ ბუდალაშვილს, ცოტნე სოსელიასა და კახაბერ კუპრეიშვილს შორის დაიდო საპროცესო შეთანხმება. 2020 წლის 23 მარტს ბესიკ თამლიანის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე შეიცვალა 4000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ. მან დატოვა პენიტენციური დაწესებულება. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბესიკ თამლიანი ოპოზიციური ბლოკის - „ენმ - ძალა ერთობაშია“ საარჩევნო სიით იყო საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი. ბესიკ თამლიანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში კვლავ გრძელდება. იგი არ თანხმდება 2021 წლის 7 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის მიერ 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით მიღებული „ამნისტიის შესახებ“ კანონის გამოყენებას და აგრძელებს საკუთარი უფლებების დაცვას. სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს მოსამართლე ზვიად შარაძე.



5. ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, კახაბერ ქეშიკაშვილის, სტეფანე გიქოშვილისა და ლაშა სამხარაძის საქმე. ბრალდებულები დააკავეს 2021 წლის 29 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოსთან გამართულ მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე განხორციელებული ქმედებებისთვის. **ბესიკ თამლიანს, ლაშა სამხარაძესა და ემზარ სიუკაევის** ბრალი წარდგენილი აქვთ *სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით*, ხოლო **კახაბერ ქეშიკაშვილსა და სტეფანე გიქოშვილს** *353-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით*. ლაშა სამხარაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია გირაო, ხოლო დანარჩენების მიმართ - პატიმრობა. ბოლოს, პროცესზე, ბრალდების მხარის მტკიცებულებები იქნა გამოკვლეული. საქმეს არსებითად განიხილავს მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძე.

სასამართლო სხდომების დაკვირვების შედეგები:

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, მონიტორინგის პერიოდში 4 სასამართლო სხდომა ჩატარდა (19 აპრილი; 5-18 მაისი, 1 ივნისი).

2022 წლის 19 აპრილის სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის 2 მოწმე დაიკითხა, გამოძიებელი - ლაშა კაპანაძე, რომელმაც ბრალდებული სტეფანე გიქოშვილი დააკავა და ოპერატიული საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელი - ივანე ბირთველაძე, რომელმაც ბრალდებული ბესიკ თამლიანი დააკავა. დანარჩენი 2 მოწმის მიერ ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები კი, მხარეთა შეთანხმებით, უდავო მტკიცებულებად იქნა მიჩნეული. მოცემულ პროცესზე ერთი და იმავე კითხვაზე, ბესიკ თამლიანის დაკავების ოქმში მისი ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის მითითების (წყაროს) მიზეზზე, მოწმემ სხვადასხვა პასუხი დააფიქსირა, ჯერ ადვოკატთან და შემდეგ ბრალდებულთან დაკითხვისას. პირველ შემთხვევაში, მოწმემ საკმაოდ ბუნდოვნად უპასუხა, რაც, შეიძლება, იმით იყოს გამოწვეული, რომ არ ახსოვდა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო მეორე შემთხვევაში, თითქოს ნელ-ნელა გაახსენდა და სხვა სახის პასუხი დააფიქსირა.

2022 წლის 5-18 მაისს ჩატარებული ორივე სასამართლო სხდომა დაგეგმილზე გვიან დაიწყო. მოსამართლეს არცერთ შემთხვევაში არ განუმარტავს დაგვიანების მიზეზი. აქვე უნდა ითქვას, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაზეფარდებული ბრალდებულები (ყველანი, გარდა ლაშა სამხარაძისა, რომელსაც გირაო აქვს განსაზღვრული აღკვეთი ღონისძიების სახედ) სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებს დაგეგმილზე გვიან მოჰყავდათ.

5 მაისის სხდომას დარბაზში მედია აკვირდებოდა. სხდომაზე, მოსამართლის ინიციატივით, აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის დატოვების აუცილებლობაზე იმსჯელეს (სსსკ-ის 230-ე პრიმა მუხლის მიხედვით). მოსამართლემ საბოლოოდ ბრალდებულების მიმართ აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა დატოვა. ამავე სხდომაზე პროკურორს ჰქონდა შუამდგომლობა საქმეზე დამატებითი მტკიცებულებების დართვის შესახებ, ვერძოდ, 3 სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თაობაზე, რომელიც 26 აპრილს მომზადდა და მანამდე, პროკურორის თქმით, ვერ იქნებოდა წარმოდგენილი. დაცვის მხარეს ინფორმაცია ჰქონდა ექსპერტიზის მიმდინარეობის შესახებ. მათ სადავოდ ცნეს დასკვნები. მოსამართლემ პროკურორის შუამდგომლობა დააკმაყოფილა - ექსპერტიზის დასკვნები საქმეს დაერთო, როგორც დამატებითი მტკიცებულება და დასაკითხ პირთა სიას ექსპერტი დაემატა. ამავე სხდომაზე დაიკითხა ბრალდების 1 მოწმე, ხოლო მეორე მოწმის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება, ამოცნობა ემზარ სიუკაევისა და სტეფანე გიქოშვილის მიმართ, უდავოდ ცნეს და აღნიშნული მოწმე აღარ დაკითხულა დარბაზში. მომდევნო სხდომის თარიღის განსაზღვრისას, კახაბერ ქეშიკაშვილის ორ ადვოკატს, სხვა თარიღის არჩევა სურდა, რაკილა სხვა პროცესიც ჰქონდათ მაგ დროისთვის, რაზეც მოსამართლემ უპასუხა - ორნი ხართ და ერთი ხომ მაინც შეძლებთ დასწრებასო.

18 მაისის სხდომაზე კახაბერ ქეშიკაშვილის ორი ადვოკატი არ გამოცხადებულა. მათ ნაცვლად, სხვა ადვოკატი მოვიდა, რომლის აცილების შუამდგომლობა სასამართლო



სხდომაზე არ დაყენებულა. მან კახაბერ ქეშიკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა წარადგინა. მოსამართლემ ეს დოკუმენტი საქმეს დაურთო, როგორც დაცვის მხარის ინფორმაციული მტკიცებულება.

18 მაისის სხდომაზე დაიკითხა 2 მოწმე - ექსპერტი მის მიერ ჩატარებულ ტრასოლოგიურ ექსპერტიზასთან დაკავშირებით და საპატრულო პოლიციის თანამშრომელი.

საქმის განხილვა გრძელდება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

6. ნიკანორ მელიას საქმე. პარლამენტის ყოფილ დეპუტატს, ნიკანორ მელიას ბრალი წარდგენილი აქვს საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, რაც გულისხმობს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას და მასში მონაწილეობას. თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე ეს საქმე უკავშირდება 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებს. 2021 წლის 17 თებერვალს სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საქართველოს გენერალური პროკურორის, ირაკლი შოთაძის შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების პატიმრობით შეცვლის თაობაზე. 2021 წლის 10 მაისს სასამართლომ, ასევე, დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახის უფრო მსუბუქი სახით შეცვლის თაობაზე. კერძოდ, ნიკანორ მელიას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება, პატიმრობა შეიცვალა 40 000-ლარიანი გირაოთი. გირაოს თანხა გამოყო ევროპულმა ფონდმა დემოკრატიისთვის (EED) ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში. სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლე ნინო ჩახნაშვილის თავმჯდომარეობით გრძელდება.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, მონიტორინგის პერიოდში, 2 სასამართლო სხდომა 2022 წლის 21 აპრილსა და 2 ივნისს ჩატარდა. პროცესს არ ესწრებოდა ბრალდებული ნიკანორ მელია. სხდომაზე ბრალდების მხარის 2 მოწმე (ექსპერტები) დაიკითხა ჰაბიდოსკოპიური და ვიდეო-ფონოსკოპიური ექსპერტიზის შედეგებთან დაკავშირებით. დაცვის მხარეს მოწმეთვის კითხვები არ დაუსვამს. სხდომაზე პროცესის მონაწილეთა ხმები ძალიან ცუდად ისმოდა.

7. ნიკანორ მელიას და ზურაბ ადვიშვილის საქმე. სასამართლო პროცესი მიმდინარეობს თბილისის სააპელაციო სასამართლოში. ნიკანორ მელიას, იუსტიციის ყოფილ მინისტრ ზურაბ ადვიშვილთან ერთად, ბრალი წარდგენილი აქვს სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში ნიკანორ მელია გამართლდა სსკ-ის 205¹ მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებაში, რაც გულისხმობს ქონების დამალვას მოჩვენებით ან თვალთმაქცური გარჩევით. საქმეს სააპელაციო სასამართლოში იხილავს ვეფხია ლომიძე.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ინფორმაციით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2022 წლის 24 თებერვალს ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, კერძოდ, ნიკანორ მელია გამართლდა სსკ-ის 205¹ მუხლით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ცნობილ იქნა დამნაშავედ. რაც შეეხება ზურაბ ადვიშვილს, ასევე უცვლელი დარჩა მის მიმართ პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კი, როგორც დაცვის, ისე ბრალდების მხარემ საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

8. მიხეილ სააკაშვილისა და თეიმურაზ ჯანაშიას საქმე - საქართველოს ექსპრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილსა და სახელმწიფო დაცვის ყოფილ უფროსს, თეიმურაზ ჯანაშიას ბრალი წარდგენილი აქვთ სსკ-ის 182-ე მუხლის „ბ“ პუნქტით, რაც გულისხმობს საბიუჯეტო თანხების დიდი ოდენობით (8 837 461 ლარი) გაფლანგვას. პროკურატურის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილსა და თეიმურაზ ჯანაშიას შორის უკვე არსებული



შეთანხმებისა და პრეზიდენტის მიერ გაცემული დავალების შესაბამისად, 2009 წლის სექტემბრიდან 2013 წლის თებერვლის ჩათვლით, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის მიერ მისთვის და სხვადასხვა ფიზიკური პირებისათვის საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ განწეული მომსახურებისთვის, საიდუმლო ფორმით, გაიფლანგა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 8 837 461 ლარი. საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილი განიხილავს.

83. | 10

ამ სისხლის სამართლის საქმეზე ადამიანის უფლებათა ცენტრმა ყურადღება გაამახვილა ანალიტიკურ დოკუმენტში: **გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების შეფასება მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში**⁴.

2022 წელს, მონიტორინგის პერიოდში, ამ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო სხდომები არ ჩატარებულა.

9. მიხეილ სააკაშვილის საქმე. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით - საქართველოს მესამე პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს პროკურატურამ ბრალი წარუდგინა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით. მიხეილ სააკაშვილის ამ საქმეზე სასამართლო პროცესი მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

სასამართლო სხდომების დაკვირვების შედეგები:

სისხლის სამართლის საქმეზე, მონიტორინგის პერიოდში, სულ 6 სასამართლო ჩატარდა. სასამართლო სხდომები, ძირითადად, ბრალდებულის - მიხეილ სააკაშვილის, პოლიტიკური განცხადებებით იწყებოდა, რისთვისაც მას, დაახლოებით, 15-20 წუთი ჰქონდა დათმობილი. ასეთი განცხადებების შემდეგ კი, იგი სასამართლო სხდომის დარბაზიდან, მისივე მოთხოვნით, გაყვდა და მოწმეების დაკითხვისა და მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესს არ ესწრებოდა, უმეტესად - ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო.

პოლიტიკურ განცხადებებთან დაკავშირებით, ბრალდების მხარემ სასამართლოს მიმართა, რომ ბრალდებულს მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებების ირგვლივ ესაუბრა და ასეთი განცხადებები არ გაეკეთებინა, რადგან საქმესთან არანაირი შემხებლობა არ ჰქონდა. ეს მოთხოვნა, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სასამართლომ არ დააკმაყოფილა და ბრალდებულს პოლიტიკური განცხადებების გაკეთების შესაძლებლობა ხელშემლის გარეშე მისცა.

დაცვის მხარე რამდენიმე სხდომის განმავლობაში შუამდგომლობით ითხოვდა სააკაშვილთან მომხდარიყო დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის შესვლა ექსპერტიზისთვის - სასამართლოს დაევალებინა პენიტენციური დაწესებულებისთვის, შესულიყო ექსპერტთა ჯგუფი. მეორე შუამდგომლობა ეხებოდა სააკაშვილისთვის შესაბამისი სამედიცინო მომსახურების განწევას. სასამართლომ წარმოადგინა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოქმი, სადაც წერია, რომ სააკაშვილი უარს აცხადებს სასამართლოში გამოცხადებაზე. ოქმი დათარიღებული იყო იმ თარიღით, როცა სხდომა გაიმართა. დაცვის მხარემ წარმოადგინა სააკაშვილის ხელმოწერილი განცხადება, სადაც სააკაშვილი ითხოვდა, მის დაუსწრებლად მომხდარიყო დაცვის მხარის შუამდგომლობების განხილვა. განცხადება დათარიღებული იყო 2 დღით ადრე. თარიღებში აცდენა გახდა ბრალდების მხარის მოთხოვნის საფუძველი, გადადებულიყო სხდომა, რადგან აღნიშნული ინფორმაციები წინააღმდეგობრივად მიიჩნია. დაცვის მხარემ, ამასთან დაკავშირებით, თავის პოზიციაში აღნიშნა, რომ პენიტენციურ სამსახურს ყოველთვის აქვს რესურსი, უფრო გვიან გამოიტანოს ოქმი და წარადგინოს სასამართლოში, ვიდრე დაცვის მხარეს. მოსამართლემ სხდომა გადადო ზემოხსენებული მიზეზის გამო.

⁴ გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების შეფასება მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021 წ. <https://bit.ly/3NHnflR>



მომდევნო სხდომაზე, პენიტენციური დაწესებულების წარდგენილ ოქმში ეწერა, რომ სააკაშვილი უარს აცხადებს სასამართლოში გამოცხადებაზე, მაგრამ თანახმაა, საქმის განხილვა გაგრძელდეს მისი მონაწილეობის გარეშე. შესაბამისად, გაგრძელდა საქმის განხილვა, გამოიკვლიეს ბრალდების მხარის წერილობითი მტკიცებულებები, რითაც ბრალდების მხარემ დაასრულა მტკიცებულებების გამოკვლევა სრულად. ამავე სხდომაზე, ბრალდების მხარემ იშუამდგომლა, დაცვის მხარის ყველა მტკიცებულება გაეხადა უდავოდ, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა, მიუხედავად დაცვის მხარის წინააღმდეგობისა. მხოლოდ სააკაშვილის დაკითხვის ნაწილში არ დაკმაყოფილდა ბრალდების შუამდგომლობა და სააკაშვილის სურვილის შემთხვევაში, მოხდება მისი დაკითხვა.

დაცვის მხარემ ამავე სხდომაზე იშუამდგომლა დამოუკიდებელი ექსპერტთა ჯგუფის შესვლაზე პენიტენციურ დაწესებულებაში და წარადგინა შესაბამისი დანართებიც, მათ შორის, გამოიკითხა ექსპერტთა ჯგუფის წევრი მარიამ ჭიშკარიანი, რომელმაც, მოსამართლის კითხვების შესაბამისად, პროცედურულ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება. **მან აღნიშნა, რომ ეს არის პირველი შემთხვევაა, როცა არ უშვებენ პატიმართან ექსპერტიზაზე, სხვა ასეთი შემთხვევა, მიუხედავად ბევრი ექსპერტიზის ჩატარებისა, არ ჰქონია.**

სასამართლო სხდომაზე მოსამართლე ათვალთვინებდა წარდგენილ დანართებს. შემდეგ მან შეკითხვები დასვა, კერძოდ: 1) „რამდენი უნდა შევიდეს?“ 2) „რატომ არ არის სია?“ და ა.შ. მას შემდეგ, რაც მოსამართლემ მოისმინა მარიამ ჭიშკარიანის განმარტება, დაცვის მხარეს უთხრა, რომ წარდგენილი არ იყო ექსპერტიზის ბიუროს მიმართვა სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და მე-12 დაწესებულებისადმი. საჭირო იყო, მომდევნო სხდომაზე წარმოედგინათ ეს დოკუმენტი და ამაზე დაყრდნობით გამოაცხადებდა გადაწყვეტილებას შუამდგომლობაზე. **მოსამართლემ სხდომის გადადება გამოაცხადა ისე, რომ, დამატებით, მხარეთა პოზიცია არ მოუსმენია.**

დაცვის მხარემ სხვადასხვა ფორმით და გასაგებად უთხრა, რომ ეს განცხადება წინ ედო მოსამართლეს. თუმცა, მოსამართლე მაინც ამბობდა, რომ მას იგი არ ჰქონდა. ამის შემდეგ მასთან მივიდა ადვოკატი და წარდგენილი დოკუმენტებიდან, მოთხოვნილი დოკუმენტი დაუდო წინ. სასამართლომ 10 წუთით შესვენება გამოაცხადა, გადაწყვეტილების მისაღებად, რაც გაგრძელდა 1 საათი და 7 წუთი. სასამართლო სხდომის განახლების შემდეგ, მოსამართლემ განმარტა, რომ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს მიმართავდა, რათა მოესმინა მათი პოზიცია და მიზეზი, რატომ არ დაუშვეს. **კიდევ ერთი პრობლემური ფაქტია ის, რომ მოსამართლე ყოველთვის აცხადებს სარეზოლუციო ნაწილს, მაგრამ ხაზს უსვამს, რომ იგი არ გააკეთებს განმარტებას. ასევე, არ აცხადებს, რა მუხლით ხელმძღვანელობს, რაც კანონმდებლობის მოთხოვნაა.**

მონიტორინგის მიმდინარეობისას დაფიქსირდა მოსამართლის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევა შუამდგომლობის განხილვის ნაწილში. კერძოდ, ერთ შემთხვევაში, დაცვის მხარეს შუამდგომლობასთან ერთად, წარდგენილი ჰქონდა ყველა მტკიცებულება, რაც აკმაყოფილებდა იმ სტანდარტს, რომ მოსამართლეს, კანონის შესაბამისად, 48 საათის განმავლობაში მიეღო გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილთან ექსპერტთა ჯგუფის შესვლის თაობაზე. თუმცა, მოსამართლემ, ერთი მხრივ, დაარღვია ეს ვადა, მეორე მხრივ კი, გადაწყვიტა, რომ ჯერ პენიტენციური სამსახურის პასუხი უნდა მოესმინა, თუ რატომ არ მოხდა ექსპერტთა ჯგუფის დაშვება, მიუხედავად 2 მიმართვისა. როგორც აღინიშნა, პენიტენციური დაწესებულება მხარე არ არის და შესაბამისად, მის მოსმენას - შეკითხვით მიმართვას და პასუხის მიღებას, კანონი არ ითვალისწინებს.

მომდევნო სხდომას ბრალდებული კვლავ არ ესწრებოდა. ოქმის შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ცხადდება სასამართლოში და უარს აცხადებს მისი მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვაზე, გარდა დაცვის მხარის შუამდგომლობის განხილვის ნაწილში. დაცვის მხარის შუამდგომლობაზე მოსამართლის გადაწყვეტილების გამოცხადების შემდგომ, სხდომა გადაიდო. ეს გადაწყვეტილება შეეხებოდა სააკაშვილთან ექსპერტთა ჯგუფის შესვლას. **მოსამართლემ დააკმაყოფილა დაცვის მხარის**



შუამდგომლობა - პენიტენციურ დაწესებულებას დაევალა „ემპათიის“ ექსპერტთა ჯგუფის შესვლა ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, სადაც არ უნდა იყოს ის, როგორც პენიტენციურ დაწესებულებაში, ისე კლინიკა „ვიგამედში“.

საქმის განხილვა გრძელდება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

83. | 12

10. მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილისა და გივი უგულავას სს საქმე ეხება 2007 წ. 7 ნოემბერს მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრას და მის „ხელში ჩაგდებას“. 2021 წლის 10 ნოემბერს, 7 ნოემბრის საქმეზე მიხეილ სააკაშვილისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა გაუქმდა. სასამართლომ ამ ეტაპზე ჩათვალია, რომ აღარ იყო საჭირო პატიმრობის გამოყენების საჭიროება. თუმცა, რადგან მიხეილ სააკაშვილი ამავდროულად მსჯავრდებულია ორ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე სამივე ინსტანციის სასამართლოს მხრიდან და, შესაბამისად, მისჯილი აქვს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 7 ნოემბრის საქმეზე პატიმრობის გაუქმება არ ცვლის ფაქტობრივ მოცემულობას, რადგან იმ საქმეებზე, რომელზეც მიხეილ სააკაშვილი მსჯავრდებულია, იგი გააგრძელებს სასჯელის მოხდას შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში. დაცვის მხარე აღკვეთის გადახედვას არ ესწრებოდა - ამ საქმეზე, მიხეილ სააკაშვილის გარდა, ბრალი წარდგენილი აქვთ იმ პერიოდის მაღალჩინოსნებს: ივანე მერაბიშვილს, ზურაბ ადეიშვილს, დავით კეზერაშვილსა და გიორგი უგულავას. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა, მოსამართლე ნინო ელემიშვილის თავმჯდომარეობით.

სასამართლო სხდომის დაკვირვების შედეგები:

მონიტორინგის პერიოდში, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ორი სასამართლო სხდომა ჩატარდა.

2022 წლის 5 მაისის სასამართლო სხდომაზე სასამართლოს შემადგენლობამ წაიკითხა პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელი პირის მიერ სასამართლოსადმი გაგზავნილი ოქმი, რომლის თანახმადაც, ბრალდებული სააკაშვილი უარს ამბობდა სასამართლო დარბაზში გამოცხადებაზე. თავს გრძნობდა ცუდად. ოქმში არ ჩანდა სააკაშვილის თანხმობა ან უარი, მისი მონაწილეობის გარეშე გაგრძელებულიყო სხდომა. ასევე, არ ჩანდა, რამდენად განემარტა უფლება-მოვალეობები. დაცვის მხარეს სურდა შუამდგომლობის განხილვა, რაზეც სასამართლომ უარი განუცხადა და გადადო სხდომა, რადგან არ იციან სააკაშვილის პოზიცია, აქვს თუ არა სურვილი მისი მონაწილეობის გარეშე გაგრძელებულიყო საქმის განხილვა. დაცვის მხარემ განმარტა, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა არის მძიმე, მას სურს სასამართლოში მოსვლა, მაგრამ არ შეუძლია, ცუდად არის. მას სურს, მისი მონაწილეობის გარეშე გაგრძელდეს საქმის განხილვა. მას აქვს სურვილი, მიიღოს საკვები, მაგრამ ვერ ჭამს. ადვოკატების განცხადებით, სააკაშვილის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გაიგეს სახალხო დამცველის კონსილიუმიდან. საჭიროა გრძელვადიანი ჩარევა და მკურნალობა. დაცვის მხარეს მიაჩნია, რომ ბრალდებულის მიმართ აღვლილი აქვს წამებას და არაჰუმანურ მოპყრობას.

2022 წლის 20 მაისის სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი იყო ოქმი, რომელშიც მითითებული იყო, რომ სააკაშვილს შესთავაზეს სასამართლოზე გამოცხადება ან დისტანციურად ჩართვა, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, უარი განაცხადა სხდომაზე დასწრებაზე, ასევე, უარს აცხადებს მისი მონაწილეობის გარეშე გაგრძელდეს საქმის განხილვა. სხდომა გადაიდო, მაგრამ გადადებამდე განიხილეს აღკვეთის ღონისძიების საკითხი. ამასთან დაკავშირებით, ბრალდება დარჩა თავის პოზიციაზე, რომ სხვა ბრალდებულები, კერძოდ - ზურაბ ადეიშვილი და დავით კეზერაშვილი უნდა დარჩნენ პატიმრობაში. დაცვის მხარემ არ გაიზიარა ეს პოზიცია და აღნიშნა, რომ ექსტრადიციის საკითხი განიხილეს ევროპული ქვეყნების სასამართლოებმა და ზურაბ ადეიშვილი მოხსნეს



ექსტრადიციიდან და დაადგინეს, რომ მის მიმართ წარმოებული საქმე არის პოლიტიკური დევნა და მოთხოვნა მისი პატიმრობაში დატოვების არის უსაფუძვლო.

სასამართლომ ძალაში დატოვა აღკვეთის ღონისძიების სახით უკვე გამოყენებული პატიმრობა. განმარტა, რომ არ შეცვლილა ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები, რაც საფუძვლად დაედო ბრალდებულთა მიმართ პატიმრობის გამოყენებას. არ არსებობს რაიმე ახალი გარემოება, რაც შეცვლიდა უკვე გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებას. ასევე, დაამატა, რომ ბრალდებულების მიმართ სხვა საქმეებზე არსებობს აღუსრულებელი განაჩენები (იგულისხმა უკვე არსებული 4 განაჩენი საქართველოს სახელით).

საქმის განხილვა გრძელდება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

11. გიორგი უგულავასა და ალექსანდრე გოგობიას საქმე. ქალაქ თბილისის ყოფილი მერის, გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის ეს საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზეა. ბრალდებულებს პროკურატურა სსკ-ის 194-ე მუხლით და 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას ედავება, რაც გულისხმობს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას (ფულის გათეთრება) და ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადებას, გასაღება ან გამოყენებას. ამასთან, უგულავას სახელმწიფო ბრალდება ამავე საქმეში „სითი პარკის“ ეპიზოდზე სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, ხოლო ე.წ. მარნეულის ეპიზოდზე ჭკუფური მოქმედების ორგანიზებასა და იძულებასაც ედავება. საქმეს იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვალერიან ბუგინაშვილი.

სასამართლო სხდომის დაკვირვების შედეგები:

2022 წლის 6 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა გიორგი უგულავასა და ალექსანდრე გოგობიას სასამართლო პროცესი. პროცესზე დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან ერთად, მომხდარიყო ამავე სასამართლოში მიმდინარე გიორგი ღონღაძის სისხლის სამართლის საქმის გაერთიანება და ერთ წარმოებად განხილვა. კერძოდ, როგორც დაცვის მხარემ სხდომაზე განმარტა; გიორგი ღონღაძეს პროკურატურა იგივე ეპიზოდზე, სისხლის სამართლის კოდექსის იმავე, კერძოდ 194-ე და 362-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულის ჩადენას ედავება და იმისათვის, რომ მომხდარიყო სასამართლოს დროისა და რესურსის დაზოგვა და რაც მთავარია, მომხდარიყო საქმეზე ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება, მართებული იქნებოდა აღნიშნულ საქმეთა გაერთიანება. გარდა ამისა, როგორც ირკვევა, თავდაპირველად სწორედ ერთ წარმოებად მიმდინარეობდა აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა, მაგრამ ბრალდებულმა გიორგი ღონღაძემ მოითხოვა მისი საქმე ცალკე წარმოებად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განეხილა, მოგვიანებით კი პირადი მიზეზებით, უარი განაცხადა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე.

სასამართლო პროცესზე დაცვის მხარემ წარადგინა ბრალდებულების - გიორგი უგულავას, ალექსანდრე გოგობიას და გიორგი ღონღაძის თანხმობა საქმეთა გაერთიანების შესახებ. შუამდგომლობას დაეთანხმა ბრალდების მხარეც, რის შემდეგაც მოსამართლემ გამოიტანა გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ. მოსამართლემ განმარტა, რომ საქმეთა გაერთიანება ხელს შეუწყობდა სასამართლოს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში.

12. ირაკლი ოქრუაშვილის და ზურაბ ადვიშვილის საქმე - ე.წ. ბუტა რობაქიძის საქმე. ირაკლი ოქრუაშვილს და ზურაბ ადვიშვილს ბრალი წარდგენილი აქვთ სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას. საქმე ეხება 2004 წლის 24 ნოემბერს თბილისში, დიდუბის პანთეონთან მომხდარ შემთხვევას, რა დროსაც საპატრულო პოლიციის პატრულმა ინსპექტორებმა გააჩერეს BMW-ს მარკის ავტომანქანა, მძღოლით და ხუთი მგზავრით. მათი შეჩერებისა და პირადი შემოწმებისას



პატრულ-ინსპექტორ გრიგოლ ბაშალიევიშვილს შემთხვევით გაუვარდა ტყვია ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღიდან და მარცხენა ილიის არეში მძიმედ დაჭრა ავტომატურიდან გადმოსული მგზავრი - ამირან (ბუტა) რობაქიძე, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. ბრალდების დადგენილებით, ამ ფაქტზე ინფორმაცია იმავე ღამით მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელმაც შემთხვევის ადგილზე მისულ შსს-ს მაღალჩინოსნებს დაავალა, რომ „გადაერჩინათ საპატრულო პოლიციის იმიჯი“ და ფაქტისთვის მიეცათ შეიარაღებული დაჯგუფების მიერ პოლიციელებზე თავდასხმის სახე. ბრალდების შესახებ დადგენილებით, საქართველოს იმჟამინდელი გენერალური პროკურორის, ზურაბ ადვიშვილის დავალებით, გამოძიება წარიმართა სამართლებრივად არასწორი მიმართულებით, რაც გამოიხატა გაყალბებული მტკიცებულებების საპროცესო წესით დამაგრებასა და შსს-ს მაღალჩინოსნების მიერ შემუშავებული ვერსიის გამყარებაში. საქმეს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძე.

სასამართლო სხდომების დაკვირვების შედეგები:

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, სასამართლო სხდომა 2022 წლის 5 მაისს ჩატარდა. პროცესს არ ესწრებოდნენ ბრალდებულები. სხდომაზე დაიკითხა ბრალდების მხარის მოწმე, პირი, რომელიც უშუალოდ იმყოფებოდა ბუტა რობაქიძის სიკვდილის დღეს მასთან მანქანაში საქმის ირგვლივ არსებულ დეტალებზე ისაუბრა.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა ამ საქმეზე ვრცელი სამართლებრივი შეფასება გააკეთა ანალიტიკურ დოკუმენტში: **ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება**⁵.

საქმის განხილვა გრძელდება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

13. ირაკლი ოქრუაშვილის საქმე. პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერს, ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი წარედგინა 2019 წ. 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეზე, სსკ-ის 225-ე მუხლით, რაც გულისხმობს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას, ხელმძღვანელობას ან მასში მონაწილეობას. 2020 წლის 13 აპრილის განაჩენით მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა დანაშაულში მონაწილეობის ბრალდებით. პრეზიდენტის შეწყალების აქტის საფუძველზე ოქრუაშვილმა, ისევე, როგორც გიორგი უგულავამ, პენიტენციური დაწესებულება 2020 წლის 15 მაისს დატოვა. შეწყალების მიუხედავად, ოქრუაშვილმა განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ვეფხვია ლომიძემ პირველი ინსტანციის განაჩენი ძალაში დატოვა. ეს გადაწყვეტილება ირაკლი ოქრუაშვილმა უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის საფუძველზე შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრული პირის მიმართ; შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ან/და მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით⁶. თუმცა, შეწყალება მსჯავრდებულ პირს არ უზღუდავს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებას და აძლევს შესაძლებლობას, მიმართოს შემდგომ სასამართლოს საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად. სსსსკ-ის 277-ე მუხლის თანახმად, რაც განაჩენის გამოცხადებას არეგულირებს, სხდომის თავმჯდომარე მხარეებს განუმარტავს განაჩენის გასაჩივრების წესსა და ვადებს. მსჯავრდებულს განემარტება შეწყალების შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლება⁷.

⁵ ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021 წელი. <https://bit.ly/31NEpka>

⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლი. <https://bit.ly/3zbd51K>

⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 277-ე მუხლი. <https://bit.ly/3xevg52>



2022 წლის 18 აპრილს, ირაკლი ოქრუაშვილმა, საკუთარ ფეისბუქ გვერდზე⁸, გაავრცელა ინფორმაცია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 13 აპრილის გამამტყუნებელი განაჩენი და მას 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. იგი სასამართლო პროცესს არ დასწრებია, ვინაიდან, იმ დროისათვის, უკრაინაში, რუსეთის სამხედრო აგრესიის წინააღმდეგ იბრძოდა.

დაცვის მხარის განცხადებით, სააპელაციო სასამართლო სრულად იზიარებს და იმეორებს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 13 აპრილის გამამტყუნებელ განაჩენში განვითარებულ მსჯელობას და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის უკანონო საფუძვლებს. დაცვის მხარე არ ეთანხმება პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და, ამჯერად, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ გამამტყუნებელ განაჩენს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ასაჩივრებს.

მონიტორინგის მიმდინარეობისას, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი - **ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება**⁹.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეში არაერთი სამართლებრივი პრობლემა გამოიკვეთა. გამამტყუნებელი განაჩენი დაეყრდნო მხოლოდ 4 პოლიციელი მოწმის ჩვენებას. ნეიტრალური მტკიცებულებების სახით კი, სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი იყო ტელეკომპანიებიდან გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერები და სამართლებრივად პრობლემური ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნები. სასამართლომ გვერდი აუარა ნორმის თავისებურებას და დანაშაულებრივი ქმედების ინდივიდუალური ნიშნების იდენტიფიცირებისა და შეფასების გარეშე, ბრალდებულის ქმედება ძალადობად დააკვალიფიცირა, როცა სსკ-ის 225-ე მუხლის მიზნებისთვის „ძალადობა“ უფრო მეტი ინტენსივობის ფიზიკურ ზემოქმედებად უნდა განიშარტოს, ვიდრე სხვა ჩვეულებრივ პირობებში.

ამასთან, იმ უამრავი ადამიანიდან, ვისთან ერთადაც ირაკლი ოქრუაშვილი „ჯგუფურ ძალადობაში“ მონაწილეობდა, სამართალდამცავებმა მხოლოდ ოქრუაშვილი შეარჩიეს ბრალდებულად და დააკავეს. შესაბამისად, მხოლოდ მის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, მიუხედავად იმისა, რომ მის გარშემო მყოფი აქციის სხვა მონაწილეების იდენტიფიცირებაც შესაძლებელი იყო. მსგავსი მიდგომით ირაკლი ოქრუაშვილის სისხლის სამართლის წესით დევნა, შეიძლება, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციადაც შეფასდეს. ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე, სავარაუდო პოლიტიკური მოტივით, დააკავეს მისი პირადი მძღოლი და ოჯახის ახლობელი, კობა კოშაძე.

14. კობა კოშაძის საქმე. პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერის, ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრს, კობა კოშაძეს ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში, რაც გულისხმობს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შექმნას, შენახვას ან ტარებას. მას შემდეგ, რაც პროკურატურამ სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობით მიმართა, კობა კოშაძის მიმართ სასამართლომ გააუქმა აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოყენებული პატიმრობა და ბრალდებულს შეეფარდა გირაო 5 000 ლარის ოდენობით. კობა კოშაძე სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. საქმის განხილვა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა კობა კოშაძის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე მიმოიხილა დოკუმენტში - **ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება**⁹.

⁸ ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3zsKTre>

⁹ „ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020 წ. <https://bit.ly/3suFZpw>



სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება¹⁰. ამ საქმეში არაერთი სამართლებრივი პრობლემა იდენტიფიცირებული.

83. | 16

15. ნიკა გვარამიას საქმე - „მთავარი არხის“ დამფუძნებელსა და გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას ბრალი ედება სსკ-ის 220-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენებას ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. საქმის განხილვა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

2022 წლის 16 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ნიკა გვარამიასა და მასთან დაკავშირებული პირების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. ნიკა გვარამია მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც გულისხმობს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და საბოლოო სასჯელის სახედ განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 6 თვის ვადით.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, 2021 წელს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოამზადა ანალიტიკური დოკუმენტი - „ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სამართლებრივი შეფასება“. დოკუმენტის მიზანია, შეფასდეს, რამდენად მოიცავს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის საკმარის არგუმენტებს პროკურატურის მიერ ტელეკომპანია „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორისთვის, ნიკა გვარამიასთვის წარდგენილი ბრალდება - *დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი, ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვა*.

დოკუმენტი გაანალიზებულია ნიკა გვარამიას, როგორც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ყოფილი დირექტორის, გადაწყვეტილებები მოიცავს თუ არა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. ასევე, დანაშაულის კვალიფიკაცია შეესაბამება თუ არა ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს/გამოცდილებას; ასევე, ამ საქმეში არსებობს თუ არა სავარაუდო პოლიტიკური მოტივები და შერჩევითი სამართლის ნიშნები.

კვლევა ეყრდნობა სისხლის სამართლის საქმეში არსებულ სხვადასხვა დოკუმენტს, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ მომზადებულ სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიშებს და იდენტიფიცირებულ პრობლემურ სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო-სამართლებრივ საკითხებს. კვლევაში, ეროვნულ კანონმდებლობასა და სასამართლო გადაწყვეტილებებთან აშშ-ისა და გერმანიის სასამართლოების, საკორპორაციო-სამართლებრივ ურთიერთობებში წარმოშობილ დავებზე სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტის, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური გადაწყვეტილებების მისადაგების საფუძველზე, წარმოდგენილია შედარებითი-სამართლებრივი ანალიზი, რითაც უფრო ნათლად წარმოჩინდა საქმეში არსებული სხვადასხვა სამართლებრივი პრობლემა. **კერძოდ:**

- საქმეში არ არის დაცული სამართლებრივი განსაზღვრულობისა და თვითნებობისგან დაცვის პრინციპები, რომლებიც კონვენციისა და კანონის უზენაესობის საერთო საფრთხედ მიიჩნევა;

- განსახილველი სადავო ქმედებების სისხლის სამართლის დანაშაულად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, უცნობია, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მიაჩნა თუ არა საფუძვლიანი მნიშვნელობა ბრალდებულის წინააღმდეგ წარმოებული

¹⁰ იხ. „ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წ.: <https://bit.ly/31NEpka>



სისხლის სამართლის საქმის გადამწყვეტ გარემოებებს. ამ ასპექტებს შეეძლო, გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონოდა სადავო ქმედებების სისხლის სამართლის დანაშაულად არმიჩნევისა და ბრალდებულის უდანაშაულობის განსაზღვრაში;

- სისხლის სამართლის საქმეში სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფარგლები სრულიად გაუგებარია და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს მხრიდან თვითნებურად არის განმარტებული ბრალდებულის საზიანოდ;

- საქმის მასალებიდან არ ჩანს, პროკურატურამ იმსჯელა თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული სამართლებრივი გზების გამოყენების შესახებ;

- პროკურატურამ, ასევე - ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ დირექტორის გადამწყვეტილებები შეთანხმებული და მოწონებული იყო პარტნიორებთან, აქციონერებთან და დირექტორის გონივრული მოსაზრებით, მოკლე ან გრძელვადიანი რისკების ანალიზის შედეგად, იგი ემსახურებოდა კორპორაციის საუკეთესო ინტერესებს, რაც ასევე შეთანხმებული იყო ამ სუბიექტებთან.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, კრიტიკულად განწყობილი მედიასაშუალებების გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და თბილისის საქალაქო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი პოლიტიკურად მოტივირებულია და მის დასჯას ემსახურება.

საბოლოოდ, ამ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულთა მიმართ, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა შემდეგი გადამწყვეტილება:

1. **ზურაბ იაშვილი - გამართლდა სრულად.** ბრალი ედებოდა სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 221-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა;

2. **კახაბერ დამენია** - ბრალი ედებოდა სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში, რაც გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად და ცნობილ იქნა დამნაშავედ 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 50.000 ლარის ოდენობით.

3. **ნიკა გვარამია - გამართლდა** სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 221-ე მუხლის მე-3 ნაწილის, სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის ბრალდებაში.

სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები და მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი დაკვალიფიცირდა სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად და ცნობილ იქნა დამნაშავედ 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში - 2 ეპიზოდში. 2015 წლის ეპიზოდზე, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 50.000 ლარის ოდენობით, ხოლო ე.წ. პორშეს ეპიზოდზე ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 3.6 წლით თავისუფლების აღკვეთა. კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მძიმე სასჯელი და გვარამიას საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3.6 წლის ვადით.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, განაჩენის გამოტანისას, სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ბრალდების შინაარსი, მისი განხორციელება დროსა და სივრცეში, ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს ქმედებები (მათ შორის - სისხლისსამართლებრივი ნორმის თვითნებური განმარტება) და სხვა ფაქტობრივი გარემოებები, რაც ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს ამ საქმეში პოლიტიკური მართლმსაჯულების გამოყენებაზე განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირის



მიმართ. სასამართლო სხდომებზე მოსამართლე ამ საკითხებზე ყურადღებას არ ამახვილებდა. სამწუხაროდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ საფუძვლიანი მნიშვნელობა არ მიანიჭა ბრალდებულის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის გადამწყვეტ გარემოებებს. ამ ასპექტებს შეეძლო, გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონოდა ბრალდებულის უდანაშაულობის დადგენაში¹¹.

83. | 18

პრობლემურია, რომ აღნიშნული საქმის განმხილველი მოსამართლე, ლაშა ჩხიკვაძე „რუსთავი 2-ის“ მფლობელი ჰოლდინგის დირექტორის, ზაზა გველესიანის ბავშვობის მეგობარია. გველესიანი საქმეში ერთ-ერთ მოწმედაც ფიგურირებდა, მაგრამ მოსამართლემ მოწმეთა სიიდან ამოიღო. გვარამია ამბობდა, რომ გველესიანი ასევე იკავებდა თანამდებობას ჰოლდინგში, რომელსაც „რუსთავი 2“ ამჟამად ეკუთვნის და, შესაბამისად, ის საქმეში დაბარალეულად მოიაზრებოდა. ამ მიზეზით გვარამიამ თავისსავე პროცესზე მოსამართლის აცილება ჯერ კიდევ 2021 წლის ბოლოს მოითხოვა, მაგრამ ჩხიკვაძემ თვითაცილებაზე შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ასევე, საინტერესოა ის ფაქტი, რომ მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძე ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელ მაღალჩინოსანთა წინააღმდეგ მიმართული არაერთი გახმაურებული სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლეა¹².

სისხლის სამართლის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს გამოეხმაურა რამდენიმე სართაშორისო ორგანიზაცია. „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ (RSF) ითხოვს, გადაიხედოს ოპოზიციური ტელეარხის დირექტორის, ნიკა გვარამიას უპრეცედენტო და საგარეუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული დაკავება, „თანამდებობის ბოროტად გამოყენების“ გამო. განცხადების თანახმად, „ასეთი საეჭვო საფუძვლების მქონე საქმეში განაჩენისა და სასჯელის სიმძიმე მიუთითებს, რომ ეს საქმე ოპოზიციური მედიის დასუსტების მიზნით, პოლიტიკურად მოტივირებული იყო. RSF მოუწოდებს სასამართლოებს, ნიკა გვარამიას ბრალი დამოუკიდებლად/მიუკერძოებლად განიხილონ და მოუწოდებს ხელისუფლებას, შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულებები, რათა საქართველოში ყველა მედიისთვის უსაფრთხო გარემო უზრუნველყოს“. გარდა ამისა, განცხადების თანახმად, „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ შემფოთებულია საქართველოში დამოუკიდებელი და ოპოზიციური მედიისთვის მზარდი საფრთხეების გამო“¹³.

საერთაშორისო ორგანიზაციის Amnesty International-ის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების დირექტორის მარია სტრუტერის შეფასებით, „ნიკა გვარამიას წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი მისი განსხვავებული შეხედულებებისა და ხელისუფლების კრიტიკის გამო, სამაგიეროს გადახდის მიზნით, პოლიტიკურად მოტივირებული დევნის აშკარა ქმედებაა. მას ახლა გისოსებს მიღმა წლების გატარება ემუქრება, რადგან მთავრობა განსხვავებული ხმების ჩასახშობად ძალისხმევას აძლიერებს. ნიკა გვარამია სასწრაფოდ უნდა გათავისუფლდეს“.

Amnesty International-ის შეფასებით, ნიკა გვარამიას დამნაშავედ ცნობა ხაზს უსვამს საქართველოში მედიის თავისუფლების გაუარესებასთან დაკავშირებით მზარდ შემფოთებას და ავლენს ხელისუფლების მზარდ გავლენას სასამართლოებზე რიგ საქმეებში, რომლებიც მიზნად მისი კრიტიკოსებისა და ოპონენტების ჩახშობას ისახავს¹⁴.

¹¹ ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება ნიკა გვარამიას მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენთან დაკავშირებით: <https://bit.ly/3yODNNh>

¹² ვინ არის და ჰქონდა თუ არა ინტერესთა კონფლიქტი გვარამიას საქმის მოსამართლეს?, netgazeti.ge, 17 მაისი, 2022 წ. <https://bit.ly/3PTkWH9>

¹³ Georgia : RSF seeks review of opposition TV chief's conviction, jail sentence: <https://bit.ly/3taQZbP>

¹⁴ Georgia: Sentencing of pro-opposition media owner Nika Gvaramia a political motivated silencing of dissenting voice: <https://bit.ly/3M7OfT2>



16. ზურაბ და შალვა წონორიების, ელგუჯა ცომიას, გიორგი ნარიმანიძის საქმე. ეს პირები ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, დანაშაულის დაფარვის ბრალდებით დააკავეს. მათ ბრალი წარდგენილი აქვთ სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვას გულისხმობს და ითვალისწინებს სასჯელს ერთიდან ოთხ წლამდე. 2021 წლის 4 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ჯემალ კოპალიანმა დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ელგუჯა ცომია პატიმრობაში დატოვა. სამართალდამცველებმა ელგუჯა ცომია 1 ოქტომბერს იმის გამო დააკავეს, რომ მან ძებნილ სააკაშვილს საკუთარი ბინა დაუთმო. გამოძიების ინფორმაციით, ელგუჯა ცომიამ იცოდა, რომ უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის იძებნებოდა საქართველოს შსს-ს მიერ. მიუხედავად ამისა, თავისი აქტიური მოქმედებით, 2021 წლის 30 სექტემბერს მას დასამალად და დროებით საცხოვრებლად გადასცა თავის მფლობელობაში არსებული თბილისის ბინა. გამოძიების მტკიცებით, 2021 წლის 29 სექტემბერს, მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის შემდგომ, ზურაბ და შალვა წონორიებმა საკუთარი ავტომანქანით უზრუნველყვეს სააკაშვილის ტრანსპორტირება და დანიშნულების ადგილას - სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში მიიყვანეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი გელაშვილმა, 2021 წლის 5 ოქტომბერს, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე მამა-შვილ წონორიებს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. გიორგი ნარიმანიძე, ტრაილერის მძღოლი, რომელიც მესამე პრეზიდენტის საქმეზე მეოთხე დაკავებულია, ბრალს არ აღიარებს. გამოძიების მტკიცებით, გიორგი ნარიმანიძე იმყოფებოდა იმ სატვირთო ავტომობილში, რომლითაც მიხეილ სააკაშვილი აბაშიდან თბილისში ჩამოვიდა, იცოდა, რა გზებით შემოვიდა ექსპრეზიდენტი ქვეყანაში და ეს ამბავი დამალა. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვას გულისხმობს. საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს.

17. მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის საქმე. თბილისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს, მამუკა ხაზარაძესა და მის მოადგილეს, ბადრი ჯაფარიძეს (ამჟამად - პოლიტიკური ორგანიზაციის - „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერები) ბრალი ედებათ სსკ-ის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, რაც გულისხმობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, რომელიც განხორციელდა ჯგუფურად და თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. ხოლო TV პირველის მფლობელის მამის, ავთანდილ წერეთლის მიმართ წარდგენილი ბრალი გულისხმობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში დახმარებას (25-194 მუხლის მე-2 ნაწ-ის „ა“ და მე-3 ნაწ-ის „გ“ ქვ/პ). სისხლის სამართლის საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში დასრულებულია.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის საქმეზე განაჩენი 2022 წლის 12 იანვარს გამოაცხადა. კერძოდ, სასამართლომ მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მიმართ წარდგენილი ბრალდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრება) მუხლიდან თაღლითობის მუხლზე გადააკვალიფიცირა, ხოლო ავთანდილ წერეთლის ბრალდება ფულის გათეთრებაში მონაწილეობიდან – თაღლითობაში მონაწილეობაზე. თუმცა, 12 იანვარს გამოცხადებული განაჩენით, მოსამართლე გიორგი არევაძემ მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის (თაღლითობა) მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით) და სასჯელის სახით განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7-7 წლით. ამასთან, მოსამართლის გადაწყვეტილებით, ხაზარაძე და ჯაფარიძე საპატიმრო სასჯელს მოხდისგან გათავისუფლდნენ, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა როგორც დაცვის, ისე ბრალდების მხარემ. ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ სახეზეა ფულის გათეთრების



შემადგენლობა და მოსამართლემ არასწორად განმარტა შესაბამისი მუხლი დავის ფაქტობრივ გარემოებებთან და წარმოდგენილ მტკიცებულებებთან. შესაბამისად მოსამართლეს უნდა მიეღო გამამტყუნებელი განაჩენი ბრალად წარდგენილ ქმედებაში. დაცვის მხარის პოზიციით, სახეზე არ იყო არც ფულის გათეთრების ფაქტი და არც თაღლითობის ფაქტი და მოსამართლეს უნდა მიეღო გამამართლებელი განაჩენი. მათი მოთხოვნაა, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი გადაწყვეტილების მიღება ყველა ბრალდებულის მიმართ.

მოცემულ ეტაპზე, საქმე განიხილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

18. 2021 წლის 5 ივლისის კონტრაქციაზე დაკავებულითა საქმე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, 5 და 6 ივლისს თბილისში სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი „ღირსების მარშის“ საწინააღმდეგო კომოფობიური აქციის მიმდინარეობისას, ჟურნალისტებზე ძალადობისა და პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ბრალდებით, კონტრაქციის რამდენიმე მონაწილე დააკავეს. ადამიანის უფლებათა ცენტრი თბილისის საქალაქო სასამართლოში აკვირდება ბრალდებულების მუხრან დადვანის, ირაკლი წიგნაძის, ნიკოლოზ გულედავის, ბაქარ მაისურაძის, თორნიკე გაბლიანის, ვანო ბურდულის და დავით ქოჩიაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე საქმეების განხილვას. ამ პირების საქმე გაერთიანებულია და განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილი. ბრალდებულებს სახელმწიფო ბრალდება ედავება სსკ-ის 225 მუხლის მე-2 ნაწილით და სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას.

ადამიანის უფლებათა ცენტრი კომოფობიური კონტრაქციის მონაწილეთა საქმეების სასამართლო განხილვას აკვირდება, რათა გამოკვეთოს პროკურატურის, ასევე - სასამართლო ხელისუფლების მიდგომა; შეადაროს სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების მიმართ და მოცემულ საქმეებზე რამდენად მიუკერძოებლად იქნება დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლება; ასევე - სამართლებრივად გააანალიზოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამ საქმეებზე, სადაც დაზარალებულები არიან ჟურნალისტები და სამოქალაქო აქტივისტები.

19. ლევან ხაბეიშვილის საქმე. საქართველოს პარლამენტის წევრს, ლევან ხაბეიშვილს (საარჩევნო ბლოკი: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“) საქართველოს პროკურატურა სსკ-ს 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძალადობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავება. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2020 წლის 24 იანვარს ქ. თბილისის საკრებულოს დერეფანში, ლევან ხაბეიშვილმა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მაშინდელ მოადგილეს ირაკლი ბარქუას მიმართ განახორციელა ფიზიკური ძალადობა. საქართველოს პროკურატურამ თბილისის საქალაქო სასამართლოს ლევან ხაბეიშვილის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით 3000-ლარიანი გირაოს გამოყენების შუამდგომლობით მიმართა. თუმცა, ეს მოთხოვნა სასამართლოს მხრიდან ნაწილობრვ დაკმაყოფილდა და ბრალდებულს 2000-ლარიანი გირაო შეეფარდა. ამ ეტაპისთვის საქმის არსებითი განხილვა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში. საქმესთან დაკავშირებით ლევან ხაბეიშვილი და მისი ადვოკატი აცხადებენ, რომ დაპირისპირებამდე მოხდა ლევან ხაბეიშვილის პროვოცირება, რაც აღბეჭდილია ვიდეოკადრებში, რომელიც გადაიცემოდა სხვადასხვა ტელეკომპანიის საშუალებით. ამასთანავე, მათი განცხადებით, საქმე პოლიტიზებულია და ხაბეიშვილის საპარლამენტო საქმიანობიდან ჩამოშორებისკენაა მიმართული (ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტით).

სასამართლო სხდომის დაკვირვების შედეგები:

სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო სხდომა 2022 წლის 17 აპრილს ჩატარდა. სასამართლო სხდომაზე დაკვირვებით გამოიკვეთა, რომ საქმის პროკურორი სათანადოდ არ



იყო მომზადებული პროცესისთვის, რაზეც მოსამართლემ ირიბად მიანიშნა კიდევ. ბრალდების მხარემ პროცესზე გამოიძახა და დაკითხა 6 მოწმე, რომელთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია არსებითად არ იყო კავშირში მიმდინარე საქმეზე ჭეშმარიტების დადგენასთან. არც ერთი მოწმისათვის კითხვა არ დაუსვამს დაცვის მხარეს. ექვსივე მოწმე 2020 წელს მუშაობდა ძველი თბილისისა და მთაწმინდა-კრწანისის სამმართველოში ინსპექტორ-გამომძიებლად. მოწმეთა ჩვენებით, ირვევავა, რომ პროკურორის მხრიდან მათ დაევალებათ 2020 წლის 24 იანვარს ტელევიზიაში გავრცელებულ ძალადობის კადრებზე საქმის გამოძიება, სადაც აღბეჭდილია ბრალდებულის, ლევან ხაბეიშვილისა და ასევე საქმეში დაზარალებულად ცნობილი ირაკლი ბარჭუას მიმართ განხორციელებული ძალადობა. პროკურორმა მოწმეებს დაუსვა შეკითხვა, თუ რა საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარეს საქმესთან დაკავშირებით. მოწმეთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მათ რამდენიმე მოწმე დაკითხეს. ამავე დროს, კონკრეტული დეტალები, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, საქმეში ისედაც დევს, საგამოძიებო ოქმების სახით, რაც ორივე მხარემ უდავო გახადა წინასასამართლო სხდომის მიმდინარეობისას.

მოწმეებმა სასამართლოს, ასევე, დამატებით მიანოდეს ინფორმაცია იმ ვიდეო-ჩანაწერების შესახებ, რაც ფართო საზოგადოებისათვის აქამდეც ცნობილია სხვადასხვა მედიის საშუალებებით. პროკურორის მიერ დასმულ კითხვაზე მოწმის მისამართით (საქმის გამომძიებელი ეკა თევზაძე), თუ რა ინფორმაციას შეიცავდა ეს ვიდეოჩანაწერები, ბრალდებულის ადვოკატმა გამოთქვა პროტესტი, ვინაიდან ეს ჩანაწერები, როგორც მტკიცებულება, ცალკე სხდომაზე ისედაც უნდა გამოიკვლიოს სასამართლომ, ხოლო წინასწარი განწყობის შექმნა მის შემდგომ ობიექტურ განხილვას შეუშლიდა ხელს. მოსამართლემ გაიზიარა ეს პროტესტი და ბრალდების კითხვა მოხსნა.

საქმის განხილვა გრძელდება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

20. გიორგი რურუას საქმე. „მთავარი არხის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს და მენილეს, 2019 წლის 20-21 ივნისის და ნოემბრის საპროტესტო აქციების ერთერთ ორგანიზატორს და მონაწილეს, გიორგი რურუას ბრალი ედება სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება); მას ასევე ბრალი წარდგენილი აქვს სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც გულისხმობს სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობას ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლას. 2020 წლის 30 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე ვალერიან ბუგაიანიშვილმა გიორგი რურუას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა და მას სასჯელის სახედ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. სასამართლომ რურუა დამნაშავედ ცნო ორივე ბრალდებაში. საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების აქტის საფუძველზე, 2021 წლის 27 აპრილს, მსჯავრდებულმა დატოვა პენიტენციური დაწესებულება¹⁵. პრეზიდენტმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმებას (ე.წ. შარლ მიშელის დოკუმენტს) ოპოზიციურმა პარტიებმა ხელი მოაწერეს, რომლის თანახმად, გიორგი რურუას მიმართ უნდა ყოფილიყო გამოყენებული გათავისუფლების სამართლებრივი მექანიზმი. ამ შეთანხმებამდე, 2021 წლის 31 მარტს, საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ გიორგი რურუას არ შეიწყალებდა, რის მოტივაციაც მიუთითა, რომ „საზოგადოებამ მასზე კარგად იცოდა, თუ რატომ არ მიიღებდა ამ გადაწყვეტილებას“¹⁶.

დაცვის მხარის განმარტებით, 1 წელზე მეტია, რაც ეს სისხლის სამართლის საქმე გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ სხდომები დღემდე არ ჩანიშნულა. ამასთან, დაცვის მხარის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებასთან დაკავშირებით მიმართვის არაერთი წერილი აქვთ გაგზავნილი.

¹⁵ ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2VHvnGE>
¹⁶ ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3lmCaxY>



მონიტორინგის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი - გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე - სამართლებრივი ანალიზი¹⁷. ამ საქმეში არაერთი მატერიალური და პროცესუალური დარღვევაა იდენტიფიცირებული.

გვ. | 22

გიორგი რურუას, პირადი ჩხრევისა და სხვადასხვა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარებისას, არამართლმომიერად შეეზღუდა საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები. კერძოდ: ბრალდებულს დაკავებისას არ მიეცა ადვოკატთან და ოჯახის წევრებთან დაკავშირების შესაძლებლობა¹⁸; ასევე, დაკავებულისთვის უფლება-მოვალეობები არ განუმარტავთ¹⁹, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული პირდაპირი მოთხოვნაა²⁰; სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის²¹ დარღვევებით²² ჩატარდა გიორგი რურუას როგორც პირადი, ისე ავტომანქანის ჩხრეკაც²³; პირადი ჩხრევის ოქმის შედგენისა და ცეცხლსასროლი იარაღის დალუქვისას დარღვეულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები; საქმეში არსებული საპროცესო დარღვევები, სხვადასხვა ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად, ეჭვქვეშ აყენებს გიორგი რურუას ცეცხლსასროლი იარაღთან შემხებლობასა და მტკიცებულების ავთენტურობას; არაერთი ფაქტი ცეცხლსასროლი იარაღის მაყუჩის წარმომავლობის საეჭვო გარემოებებზე მიუთითებს; გამომძიებელმა არაერთი საგამოძიებო მოქმედება ადვოკატის საგალდებულო მონაწილეობის გარეშე ჩაატარა²⁴; ბრალის დამძიმება კონსტიტუციურ საფუძვლებს იყო მოკლებული და ა.შ. ასევე, გიორგი რურუას საქმეს არ დაერთო პოლიციაში შეყვანის ამსახველი სათვალთვალო კამერების კადრები, რასაც პროცესზე ითხოვდა დაცვის მხარე. პოლიციის განმარტებით, მათ ეს კადრები არ ჰქონდათ. ამ კადრების არსებობა მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც გიორგი რურუა აცხადებდა, რომ პოლიციაში მიყვანისას მას შარვლის ჯიბეში ედო დახვეული პარალონი, რაც კარგად გამოჩნდებოდა ვიდეოკამერების კადრებში და ამავე ჯიბეში მას ვერ ექნებოდა ცეცხლსასროლი იარაღი, რაც თითქოსდა პოლიციაში მიყვანის შემდეგ ჩხრევისას აღმოუჩინეს. გიორგი რურუა აცხადებდა, რომ იარაღი სინამდვილეში მას არ ჰქონია.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის პრაქტიკა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ე.წ. ბანკი „ქართუს“ საქმეზე²⁵ 2019 წ. 2 დეკემბრის განაჩენით, საქართველოს პარლამენტის წევრი ნიკანორ მელია დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით²⁶. სასჯელის სახედ და ზომად მას განესაზღვრა ჯარიმა 25 000 ლარის ოდენობით. ამასთან, საქართველოს

¹⁷ იხ. „გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020 წ.: <https://bit.ly/2CkSOfd>

¹⁸ იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი: <https://bit.ly/38KDeNF>. ასევე, იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1990 წ. 21 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე van der Leer v. NLD, განაცხადი 11509/85, 27-ე პუნქტი. იხ. ასევე: Grabenwarter/ Pabel, 2012, გვ. 205.

¹⁹ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის მიერ გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიშები. არსებითი განხილვა: 10.02.2020

²⁰ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლი: <https://bit.ly/2InKluz>

²¹ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლი. <https://bit.ly/2InKluz>

²² იხ. Guide on Article of the European Convention on Human Rights (Right to respect for private and family life, home and correspondence), European Court of Human Rights, 2019, Article 8. გვ: 88. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YRHdWk>

²³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე და 120-ე (6) მუხლები. <https://bit.ly/2InKluz>; ასევე - ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიში. არსებითი განხილვა: 10/03/2020.

²⁴ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წ. 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-55. <https://bit.ly/3hhsQIS>; ასევე, იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წ. 29 იანვრის № 2/3/182,185,191 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ფიროზ ბერიაშვილი, რეგამ ჯიმშელიძე და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მე-2 პუნქტი.

²⁵ ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3cK34V>

²⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლი: <https://bit.ly/2Uyh9UK>



სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე²⁷, ნიკანორ მელიას დამატებითი სასჯელის სახით 3 წლის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე²⁸, ნიკანორ მელიას დანიშნული დამატებითი სასჯელი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა შეუმცირდა ერთი მეოთხედით. საბოლოოდ, მას სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 25 000 ლარის ოდენობით და 2 წლისა და 3 თვის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

2019 წლის 9 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს²⁹. პარლამენტის 2019 წლის 12 დეკემბრის N5544 დადგენილებით, საქართველოს კონსტიტუციასა³⁰ და პარლამენტის რეგლამენტზე³¹ დაყრდნობით, ნიკანორ მელიას ვადამდე შეუწყდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება³². 2019 წლის 23 დეკემბერს, გადაწყვეტილება გასაჩივრდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში³³. სარჩელით მოთხოვნილ იქნა პარლამენტის იმ დადგენილების არაკონსტიტუციურად ცნობა, რითაც მას უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა³⁴.

2020 წლის 25 სექტემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა არ დააკმაყოფილა №1473 კონსტიტუციური სარჩელი („ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნაა, საკანონმდებლო საქმიანობა განახორციელონ მხოლოდ ისეთმა პირებმა, რომელთა ქცევაც შეუსაბამო არაა პარლამენტის წევრის სტატუსთან, რათა საქართველოს პარლამენტის საქმიანობას არ მიადგეს გამოუსწორებელი რეპუტაციული ზიანი და ეჭვქვეშ არ დადგეს მის მიერ განხორციელებული საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და მაკონტროლებელი ფუნქციების სანდობა“. „სამოგადოებაში უნდა არსებობდეს აღქმა, რომ პარლამენტის საქმიანობა და კანონშემოქმედებითი პროცესი თავისუფალია შიდა და გარე ჩარევების, ვიწროდ პირადი ინტერესებისა და უკანონო ზემოქმედებისაგან, ამ მიზნის მიღწევა კი შეუძლებელი იქნება მაშინ, თუკი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილი პირი კვლავ განაგრძობს საკანონმდებლო ორგანოში საქმიანობას“³⁵.

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა 2022 წლის 7 თებერვალს კომიტეტის სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრის ბადრი ჭაფარიძისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი, მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით დამნაშავედ ცნობის გამო. როგორც ცნობილია, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, გამოითხოვა შესაბამისი განაჩენის ასლი სასამართლოდან. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2022 წლის 28 იანვრის N1-946/22 წერილით, საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი განაჩენით, დასტურდება, რომ საქართველოს პარლამენტის წევრის ბადრი ჭაფარიძის მიმართ (საქმე N1/4607-19) დადგინდა გამამტყუნებელი განაჩენი და იგი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. ამასთან, განაჩენი კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე.

²⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილი: <https://bit.ly/2Uyh9UK>

²⁸ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი: <https://bit.ly/2Yom23w>

²⁹ ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2UwXJiO>

³⁰ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი: <https://bit.ly/2AIDfmm>

³¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი: <https://bit.ly/3hhZ0V0>

³² ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2UwXJiO>

³³ ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2zpHmNW>

³⁴ საქმე „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2020 წლის 27 იანვარი: <https://bit.ly/3dRdWar>

³⁵ ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/2/1473, 2020 წლის 25 სექტემბერი: <https://bit.ly/3M8uLxW>



გემოლანდიზებულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის წევრს ბადრი ჯაფარიძეს ვადაძე უნდა შეწყვეტოდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

83. | 24

2022 წლის 15 თებერვალს, პლენარულ სხდომაზე, საქართველოს პარლამენტის წევრის ბადრი ჯაფარიძისთვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადაძე შეწყვეტის საკითხი იქნა განხილული და დაკმაყოფილებული, რასაც მმართველი პარტიის - „ქართული ოცნების“ 77 დეპუტატის მხარდაჭერა ჰქონდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ხელისუფლების მსგავსი ქმედებები შეიძლება აიხსნას ვიწრო პოლიტიკური მოტივებით. კერძოდ, როგორც პოლიტიკური მოვლენებიდანაც იკვებება, ხელისუფლების ინტერესებში არ შედის საპარლამენტო ოპოზიციასთან ერთად კონსტრუქციულ პოლიტიკურ პროცესში მუშაობა. ამიტომ სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეებზე დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენები საფუძველზე საპარლამენტო უმრავლესობა ასუსტებს საპარლამენტო ოპოზიციას კონკრეტული დეპუტატებისთვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადაძე შეწყვეტით.

წინა გამოცდილებების გაზიარებით, შესაძლოა, ბრალის დამტკიცებისა და, შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, ლევან ხაბეიშვილიც დადგეს დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის საფრთხის წინაშე, რითაც, ფაქტობრივად, ტენდენციის სახეს მიიღებს ოპოზიციონერი დეპუტატების შევიწროებისა და პარლამენტიდან დათხოვნის მანკიერი პრაქტიკა.

მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სასაჯელსა და დაწესებულებაში

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ პატიმრობაში მყოფი ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო მომსახურების მონიტორინგის მიზნით შექმნილი ექსპერტთა მულტიპროფილური ჯგუფის 2022 წლის 27 აპრილს გამოქვეყნებული დასკვნით, 2022 წლის 11 იანვრის ვიზიტთან შედარებით, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა „მნიშვნელოვნად გაუარესდა“. ექსპერტთა დასკვნის თანახმად, მიხეილ სააკაშვილი უარყოფით კატაბოლურ მდგომარეობაშია, რაც ნიშნავს, რომ ორგანიზმი საკუთარი ორგანოების დაშლის შედეგად გამოყოფილ ცილებს მოიხმარს, რაც კუნთოვანი მასის ხარჯზე წონაში კლებას იწვევს. გამოხატულია რემისტენტული პოსტტრავმული სტრესული დაავადება – დეპრესია და ანორექსია; ასევე - საკვების მიღების შემცირება, აუტანლობის მიზეზით ცილოვანი პროდუქტზე შერჩევითად უარის თქმა და ცხოვრების ხარისხისა და ფუნქციონირების ეფექტურობის მნიშვნელოვანი დაქვეითება. მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი „დროული კომპლექსური ნეირო-ფსიქოლოგიური და ფიზიკური რეაბილიტაციის“ საჭიროებას უსვამს ხაზს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ექსპერტები კუნთოვანი და ორგანული წონის მნიშვნელოვანი კარგვის, ინფექციების მაღალ რისკსა და შინაგან ორგანოთა სისტემების მოქმედების მოშლის საშიშროებაზე საუბრობენ³⁶.

ექსპერტთა ჯგუფმა ჯამში 6-ჯერ მოინახულა მიხეილ სააკაშვილი. კერძოდ, ვიზიტები განხორციელდა 2021 წლის 16 და 18 ნოემბერს - სპეციალური პენიტენციური სამსახურის N18 სამკურნალო დაწესებულებაში, 23 ნოემბერსა და 12 დეკემბერს - სსიპ გიორგი აბრამიშვილის

³⁶ სახალხო დამცველის მიერ შექმნილ სპეციალისტთა/ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა N6, მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო მდგომარეობის მონიტორინგის შედეგების შესახებ. <https://bit.ly/3x73Cpo>



სახელობის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალში, ხოლო 11 იანვარს და 22 აპრილს - N12 პენიტენციურ დაწესებულებაში.

2022 წლის აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლოში, სასამართლო სხდომაზე, სადაც მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვრის უკანონო კვეთის საქმე იხილებოდა, სააკაშვილმა დარბაზიდან გაყვანა და ექიმის დახმარება ითხოვა. სასამართლო სხდომის დარბაზში დაბრუნებულმა სააკაშვილმა საკუთარ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე საუბრისას აღნიშნა, რომ გორის სამხედრო ჰოსპიტალში მისი „ვითომ მკურნალობა იყო სრული ბლეფი“, რადგანაც 50-დღიანი შიმშილობის შემდეგ, მისი ე.წ. რეფილინგის პროგრამა „მთლიანად ჩავარდა“³⁷. ამავე სასამართლო სხდომაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, ნინო ჩახნაშვილმა, ნაწილობრივ დააკმაყოფილა მიხეილ სააკაშვილის ადვოკატების შუამდგომლობა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის დირექტორს პატიმრობაში მყოფი სააკაშვილისთვის „სათანადო, ადეკვატური სამედიცინო მომსახურების განწვევა“ დაავალა. თუმცა, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ადვოკატების შუამდგომლობის მეორე ნაწილი, რითაც ისინი ითხოვდნენ, სასამართლოს პენიტენციური სამსახურის დირექტორისთვის სააკაშვილთან ცენტრ „ემპათიის“ კონსილიუმის წევრების დაშვება დაევალებულიყვნენ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება, ან/და თუ მოსამართლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელდა ან შესაძლოა, განხორციელდეს წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, მოსამართლე უფლებამოსილია, განჩინებით სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს დაავალოს მისი უსაფრთხოებისათვის აუცილებელი განსაკუთრებული ზომების მიღება.

2022 წლის 10 მაისს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მიხეილ სააკაშვილს შესთავაზა კლინიკა „ვიგამედში“ გადაყვანა³⁸. იმავე დღეს, ექსპრეზიდენტის ადვოკატმა განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილი თანახმა იყო, მაგრამ - იმ პირობებით, რომ მასთან მუდმივად შეუშვებდნენ ოჯახის წევრებს, პირად ექიმს და ალტერნატიულ ექსპერტებს ცენტრ „ემპათიიდან“. ასევე, სამუშაო საათებში მასთან შესვლის უფლება უნდა ჰქონდეთ ადვოკატებს და პარლამენტის წევრებს. პირობებს შორის იყო ისიც, რომ მიხეილ სააკაშვილისთვის ჩატარებულ ყველა გამოკვლევაში, დიაგნოსტიკაში, დანიშნულების დადგენასა და მკურნალობის შემდეგი ეტაპების თუ გამოჯანმრთელების განსაზღვრაში მონაწილეობა პარიტეტული შემადგენლობით უნდა ხდებოდეს, „ემპათიის“ ჩართულობით და თანხმობის შემთხვევაში, სახალხო დამცველის მიერ შექმნილი კონსილიუმის წევრების მონაწილეობით³⁹. 2022 წლის 12 მაისს მიხეილ სააკაშვილი რუსთავის მე-12 პენიტენციური დაწესებულებიდან თბილისში, კლინიკა „ვიგამედში“ გადაიყვანეს⁴⁰.

თავისუფლებაღკვეთილი პირების ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა განსაზღვრულია როგორც საერთაშორისო სტანდარტებით⁴¹, ასევე ეროვნული კანონმდებლობით. მიუხედავად პირის სოციალური და სამართლებრივი სტატუსისა, „ჯანმრთელობის უფლება“ წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას და განსაკუთრებული ადგილი უკავია ჯანმრთელობის დაცვის ადეკვატური სტანდარტების ჩამოყალიბებაში⁴². ის არ არის დაკავშირებული მხოლოდ სამედიცინო სერვისების მიწოდებასთან, არამედ გულისხმობს: ადეკვატური სანიტარული და ჰიგიენური პირობებით, უსაფრთხო წყლით, უვნებელი და ადეკვატური საკვებით უზრუნველყოფას. ჯანმრთელობის უფლება მოიცავს პიროვნების გარკვეულ დაცვას: თანხმობის გარეშე სამედიცინო მკურნალობისაგან, სამედიცინო ექსპერიმენტებში და კვლევებში მონაწილეობისგან,

³⁷ ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3aolbK9>

³⁸ ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3zd70lm>

³⁹ ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3zqqCFq>

⁴⁰ ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3m8ql0z>

⁴¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები). <https://bit.ly/3awhphD>

⁴² UN Office of the High Commissioner for Human Rights (OHCHR), Fact Sheet No. 31, The Right to Health, June 2008, No. 31, a <https://bit.ly/3PT4iaN>



წამებისაგან და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელისაგან.

გვ. | 26

ჯანმრთელობის უფლებიდან გამომდინარე, პიროვნებას გააჩნია: დაავადებების პრევენციის, მკურნალობისა და კონტროლის უფლება; ძირითად მედიკამენტებზე და ჯანდაცვის სისტემის ძირითად მომსახურებაზე თანაბარი და დროული ხელმისაწვდომობის უფლება; პიროვნების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული და ჯანდაცვის საკითხებზე ინფორმირებულობის უფლება⁴³.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის, აგრეთვე წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) მიერ ჩატარებული სამუშაოების და მის ყოველწლიური ანგარიშებში გამომუშავებული სტანდარტების გათვალისწინებით, ევროპის საბჭომ 2006 წელს დაამტკიცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესების ევროპული ვერსია - ევროპული ციხის წესების (EPP) ახალი რედაქცია⁴⁴.

„ევროპული ციხის წესების“ მესამე ნაწილში განსაზღვრულია პენიტენციურ სისტემაში ჯანდაცვის სერვისების უზრუნველყოფის და ორგანიზების (პუნქტი 39-40, 46-48) და სამედიცინო პერსონალის ვალდებულებების (პუნქტი 41-44) საკითხები.

„ევროპული ციხის წესები“ ხაზგასმით აღნიშნავს ციხის ადმინისტრაციის ვალდებულებას, უზრუნველყოს ყველა პატიმრის ჯანმრთელობა (პუნქტი 39) და ციხის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა. პენიტენციური სისტემის სამედიცინო სამსახური უნდა იყოს ორგანიზებული სამოქალაქო ჯანდაცვასთან ახლო თანამშრომლობით. პენიტენციური ჯანდაცვის პოლიტიკა უნდა იყოს ინტეგრირებული და შეესაბამებოდეს ეროვნული ჯანდაცვის პოლიტიკას. პატიმრებს, მათი სამართლებრივი მდგომარეობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ქვეყანაში არსებულ ჯანდაცვის სერვისებზე (პუნქტი 40). ყველა პენიტენციური დაწესებულება უნდა სარგებლობდეს მინიმუმ ერთი კვალიფიცირებული ზოგადი პროფილის ექიმის მომსახურებით და უნდა ჰყავდეს ჯანდაცვის სფეროში სათანადოდ მომზადებული სამედიცინო პერსონალი (პუნქტი 41). პატიმრებს უნდა გაეწიოთ ყველა საჭირო სამედიცინო მომსახურება. თუკი ასეთი მკურნალობის შესაძლებლობა არ არსებობს ციხეში, ავადმყოფი პატიმრები, უნდა გადაიყვანონ სპეციალიზებულ დაწესებულებებში ან სამოქალაქო საავადმყოფოში (პუნქტი 46).

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების დაცვის მრავალრიცხოვანი საერთაშორისო ხელშეკრულება და სტანდარტი განსაზღვრავს ჯანმრთელობის უფლებას, ამ უფლების იმპლემენტაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნულ საკანონმდებლო და ნორმატიულ დოკუმენტებს.

საქართველოში პენიტენციურ სისტემაში ჯანმრთელობის დაცვის საკანონმდებლო რეგულაცია ეფუძნება ადამიანის უფლებების საერთაშორისო ნორმებს და სტანდარტებს. პენიტენციურ სისტემაში განთავსებული პირების უფლებები განსაზღვრულია სამოქალაქო ჯანმრთელობის დაცვის ისეთ ფუნდამენტურ დოკუმენტებში, როგორებიცაა: საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ⁴⁵, საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ⁴⁶, საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ⁴⁷, აგრეთვე - საქართველოს პატიმრობის კოდექსში⁴⁸ და სხვა ნორმატიულ აქტებში.

⁴³ UN General Assembly, United Nations Standard Minimum Rules for the Treatment of Prisoners (the Nelson Mandela Rules) : resolution / adopted by the General Assembly, 8 January 2016, A/RES/70/175. <https://bit.ly/3awhphD>

⁴⁴ Council of Europe: Committee of Ministers, Recommendation Rec(2006)2 of the Committee of Ministers to Member States on the European Prison Rules, 11 January 2006, Rec(2006). <https://bit.ly/3x6h6BL>

⁴⁵ საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. 10.12.1997.

⁴⁶ საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ. 05.05.2000.



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა საპატიმროში მოთავსებულ პირებს მონყვლად პოზიციაში მყოფებად მიიჩნევს და მთავრობებს თავისუფლებააღკვეთილ პირთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვას ავალდებულებს⁴⁹. საპატიმროში მყოფ პირთა სიცოცხლის დაცვა აგრეთვე მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას - ამ კატეგორიის პირთა სიცოცხლის დაცვისთვის აუცილებელი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის თაობაზე. ამასთანავე, თავისუფლებააღკვეთილ პირთა მკურნალობის ვალდებულებაც სახელმწიფოს ეკისრება⁵⁰. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პიროვნების ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება აუცილებლობით და ავტომატურად ქმნის დაეჭვების სერიოზულ საფუძველს - ხომ არ იყო განპირობებული ის დაწესებულებაში არსებული სამედიცინო მკურნალობის არაადეკვატური პირობებით⁵¹.

კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები სახელმწიფოს რეგულაციების შემუშავებას სთხოვს. ეს რეგულაციები, პაციენტთა სიცოცხლის დასაცავად, სამოქალაქო პროფილისა და ციხის საავადმყოფოებს, ზემოაღნიშნული მოთხოვნიდან გამომდინარე, შესაბამისი ზომების გატარებას ავალდებულებს⁵².

შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ სავალდებულოდ უნდა უზრუნველყოს პატიმარ მიხილ სააკაშვილის ჯანმრთელობის, ფსიქიკური კეთილდღეობისა და სიცოცხლის დაცვა.

დასკვნა

სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგად, წინა წლების მსგავსად, 2022 წელსაც, გამოვლინდა მთელი რიგი ხარვეზები სხვადასხვა სფეროში, როგორცაა: კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ გასამართლების უფლება, საზოგადოებრივი ნდობა სისხლის სამართლის სისტემის მიმართ, საჯარო განხილვის უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია, პატივისა და ღირსების უფლება, მსჯავრდებულის/ბრალდებულის ჯანმრთელობის დაცვის უფლება, თავისუფლების უფლება, მხარეთა თანასწორობა, გონივრულ ვადაში გასამართლების უფლება, მონმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლება, დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლება, რაც განსაკუთრებით პრობლემურია ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ გამამტყუნებელ განაჩენში; სასამართლო სხდომებზე ბრალდებულის დასწრების უფლება, შერჩევითი სამართალი და პოლიტიკური მოტივები. აგრეთვე, პრობლემურია სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ქმედებები, რაც პირველ რიგში, გამოიხატება პატიმრობაში მყოფი მიხილ სააკაშვილის უფლებების უხეშ დარღვევაში და ეს შესაძლოა, შეფასდეს, როგორც პატიმრის მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.

წელსაც მწვავე პრობლემას წარმოადგენს ისეთი შემთხვევები, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე საუბრობენ ბრალდებულთა ბრალეულობის შესახებ, რითაც არღვევენ უდანაშაულობის პრეზუმფციას, რაც ხელს უწყობს ბრალდებული პირების საზოგადოების თვალში დამნაშავედ წარმოჩენას. ამასთან, ასეთი განცხადებები ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე პროკურატურის მიუკერძოებლობისა და პოლიტიკური ნეიტრალურობის შესახებ.

ცხადი გახდა, რომ, უმეტესწილად, პრობლემურია დაცვის მხარის შუამდგომლობების დაკმაყოფილების საკითხი; უარის თქმის საფუძვლები კი დაუსაბუთებელი ან/და არასაკმარისია.

⁴⁷ საქართველოს კანონი საქმიანობის შესახებ. 08.06.2001.

⁴⁸ საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი. 09.03.2010.

⁴⁹ .Naumenko v. Ukraine, no. 42023/98, § 112, 10 February 2004; and Dzieciak v. Poland, no. 77766/01, § 91, 9 December 2008.

⁵⁰ Taïs v. France, no. 39922/03, § 98, 1 June 2006; and Huylu v. Turkey, no. 52955/99, § 58, 16 November 2006).

⁵¹ Farbtuhs v. Latvia, no. 4672/02, § 57, 2 December 2004; and Khudobin v. Russia, no. 59696/00, § 84, ECHR 2006-XII.

⁵² Tarariyeva v. Russia, no. 4353/03, § 74, 85 and 87, ECHR 2006-XV.



აგრეთვე, აღსანიშნავია გამამტყუნებელი განაჩენის არსებობის საფუძველზე, ისეთ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებშიც, მაღალი ალბათობით, არსებობს პოლიტიკური მართმსაჯულებისა და შერჩევითი სამართლის ნიშნები, საპარლამენტო ოპოზიციის კონკრეტული დეპუტატებისთვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამე შეწყვეტის ფაქტები. ხელისუფლება, სავარაუდოდ, მიზანმიმართულად ცდილობს ასეთი ქმედებებით საპარლამენტო ოპოზიციის შესუსტებას.

83. | 28

ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს გამამტყუნებელმა განაჩენმა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, გამოიწვია შეშფოთება მთლიანად სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებისა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ.

დაბოლოს, 2022 წლის 9 ივნისს, ევროპის პარლამენტმა გამოაქვეყნა რეზოლუცია ((2022/2702(RSP)) - „**მედიის თავისუფლების დარღვევისა და ჟურნალისტების უსაფრთხოების შესახებ საქართველოში**“⁵³. რეზოლუციის შეთანხმებულ ტექსტში საუბარია ოპოზიციური ტელევიზიის, „მთავარი არხის“ დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას სასჯელსა და „ტვ პირველისა“ და „ფორმულის“ მფლობელების მიმართ აღძრულ საქმეებზე. რეზოლუცია ეხება პარტია „ლელო“ დამფუძნებლების მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენსაც, რისი კანონიერების საკითხიც კითხვის ქვეშ დგას.

ამავე რეზოლუციაში ევროპის პარლამენტი შეშფოთებას გამოხატავს იმ „დესტრუქციული როლის გამო, რომელსაც ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი საქართველოს პოლიტიკასა და ეკონომიკაში თამაშობს, ასევე მის მიერ ხელისუფლებასა და მის გადაწყვეტილებებზე განხორციელებული კონტროლის გამო, მათ შორის, ისეთ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ჟურნალისტებისა და პოლიტიკური ოპონენტების პოლიტიკურად მოტივირებულ დევნას ეხება“. ევროპარლამენტმა განაცხადა, რომ ის უკიდურესად შეშფოთებულია კრემლთან ივანიშვილის პირადი და ბიზნესკავშირების გამო, რაც „რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მიმართ საქართველოს მოქმედი ხელისუფლების პოზიციას განაპირობებს“. ევროპარლამენტი მოუწოდებს საბჭოს და „დემოკრატიულ პარტნიორებს, რომ ივანიშვილის წინააღმდეგ პერსონალური სანქციების დაკისრების საკითხი განიხილონ იმ როლის გამო, რომელიც მან საქართველოში პოლიტიკური პროცესის გაუარესებაში ითამაშა“⁵⁴.

რეკომენდაციები:

სასამართლო ხელისუფლებას:

- მოსამართლეებმა უზრუნველყონ სამართლიანი სასამართლო პროცესი ისე, რომ მიღებული გადაწყვეტილებები პასუხობდეს დასაბუთების მაღალ სტანდარტს;
- სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების გათვალისწინებით და დაცვით, აამაღლონ საზოგადოების ნდობა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ
- მართლმსაჯულებაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების მიზნით, სასამართლოებმა უზრუნველყონ სხდომის საჯაროობის პრინციპის დაცვა - ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიეცეს სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება, როცა არ არსებობს სხდომის დახურვის კანონით გათვალისწინებული საფუძველები;
- მოსამართლეებმა უზრუნველყონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევა; ამასთან, უზრუნველყონ ადმინისტრაციულ

⁵³ European Parliament resolution of 9 June 2022 on violations of media freedom and the safety of journalists in Georgia (2022/2702(RSP)): <https://bit.ly/3zoLv18>

⁵⁴ European Parliament resolution of 9 June 2022 on violations of media freedom and the safety of journalists in Georgia (2022/2702(RSP)), Paragraph 16, - “Expresses its concern over the destructive role played by the sole oligarch, Bidzina Ivanishvili, in Georgia’s politics and economy, and the level of control he exerts over the government and its decisions, including those on the politically motivated prosecution of journalists and political opponents; is deeply worried by Ivanishvili’s exposed personal and business links to the Kremlin, which determine the position of the current Government of Georgia towards sanctions on Russia; calls on the Council and democratic partners to consider imposing personal sanctions on Ivanishvili for his role in the deterioration of the political process in Georgia”. **ხელმისაწვდომია:** <https://bit.ly/3zoLv18>



სამართალდარღვევათა საქმეების მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვითა და მიუკერძოებლად განხილვა;

- მოსამართლეებმა უზრუნველყონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის პროცესში მტკიცების ტვირთის სწორად განაწილება და არ მიანიჭონ უპირატესი იურიდიული ძალა ერთი მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და ყოველმხრივ, სწორად გამოიკვლიონ ისინი;

- სწორად შეფასდეს სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებები და მათი მოპოვების კანონიერების საკითხი;

- სასამართლოებმა უნდა განიხილონ თითოეული ბრალდება თითოეულ ბრალდებულთან მიმართებით, მტკიცებულებებზე მითითებით. ასევე - განმარტონ გადაწყვეტილებაში, თუ რატომ იქნა მტკიცებულება გაზიარებული ან უარყოფილი;

- სასამართლოებმა არ უნდა დაუშვან ბრალდებულად ცნობის დადგენილება მტკიცებულებად;

- სასამართლოებმა უზრუნველყონ ბრალდებულის სავალდებულო დასწრება სასამართლო სხდომებზე და ხელი არ შეუშალონ აღნიშნული უფლების რეალიზებას;

პროკურატურას:

- ბრალდების მხარის ქცევა უნდა უზრუნველყოფდეს მონშეთა და დაზარალებულთა დაკითხვისას მათი ძირითადი უფლებების დაცვას, მათ მიმართ პატივისცემასა და ადამიანურ და ღირსეულ დამოკიდებულებას;

- ხელი შეუწყოს სამოგადოებრივი ნდობის აღდგენას პროკურატურის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს:

- ხელი შეუწყოს სამოგადოებრივი ნდობის აღდგენას სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ;

- საერთო სასამართლოებში მონიტორინგი გაუწიოს საბჭოს მიერ დამტკიცებული რეკომენდაციების სათანადოდ შესრულების პროცესს.

იუსტიციის სამინისტროს/სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს:

- იხელმძღვანელოს ექიმთა მულტიფუნქციური ჯგუფის დასკვნებისა და ადამიანის ღირსების შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფის ვალდებულების შესაბამისად და პატიმარს შეურჩიოს ალტერნატიული სამედიცინო დანესებულება, როცა ამის გადაუდებელი საჭიროება არსებობს.

დაცვის ადვოკატებს:

- მყისიერად აცნობონ სასამართლოს კონფიდენციალური და პრივილეგირებული კომუნიკაციის უფლების განხორციელებისთვის დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის შესახებ.